შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№4 (10.060)

18—25 თებერვალი 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ყანას თაგვი შეესია...

გაჩერებული წისქვილკომბინატები და დაბალი ფასი ხორბალზე

დედოფლისწყაროში, კერძოდ კი შირაქის ველზე, თავთავიანი კულტურების მოსავალს საფრთხე ემუქრება. როგორც ადგილობრივი ფერმერები აცხადებენ, წელს მღრღნელების დიდი რაოდენობაა, რომლებიც მოსავალს სერიოზულ ზიანს აყენებენ. ფერმერები სევდანარევი იუმორით ამბობენ, რომ თუ ყველა ერთიანი ძალებით არ ეცდება მინდვრის თაგვის შემცირებას, ხორბლისა და ქერის მოსავალს ფერმერებზე ადრე თაგვები მომკიან.

ცნობისთვის, მღრღნელები ყოველ წელიწადს მსოფლიო მოსავლის 1/5-ს ანადგურებენ. 100 ვირთაგვა კი წელიწადში 2ტ მარცვალს ჭამს. სადერატიზაციო სამუშაოების დროული და ეფექტური ჩატარება, ჩვენს მოსავალს განადგურებისგან დაიცავს!

თაგვისნაირი მღრღნელების სრულ ლიკვიდაციას შეიძლება მივაღწიოთ იმ შემთხვევაში, თუ პროფილაქტიკური და გამანადგურებელი ღონისძიებები გატარდება ერთდროულად მღრღნელებით დასახლებულ ყველა ობიექტზე (ფერმები, საწყობები, მინდვრები მთლიანი ფართით).

დიდი მნიშვნელობა აქვს დამუშავების ტექნოლოგიას.

და ბოლოს, მინდა ხაზი გავუსვა, ეკონომიკურ ზარალს, რომელიც შეიძლება ოთხმა მემინდვრიამ ხორბლისა და სიმინდის ნათესებს ერთ წელიწადში მიაყენოს.

ოთხ წყვილ მემინდვრიას, თუ მათ პოპულაციას ხელი არ შევუშალეთ, თავისი ნამატით წელიწადში შეუძლია გაანადგუროს 8000 ტონამდე (2000-4000 ჰა ფართობი) მარცვალი, ხოლო წყვილ ვირთაგვას წელიწადში — 1000 ტონამდე. ამას გარდა, ისინი თითქმის მთლიანად ანადგურებენ ახლადამოსულ მწვანე ჯეჯილს. აღარაფერს ვიტყვით იმ ეპიდემიოლოგიურ საშიშროებაზე, რომელიც შეუძლია მავნე მღრღნელებმა ადამიანს მოუტანოს.

„წელს მინდვრის თაგვის განსაკუთრებით დიდი რაოდენობაა. რაც აგრარულ სფეროში ვარ, ამდენი მღრღნელი არ მახსოვს. ზოგი ნაკვეთი 4-5-ჯერ შევწამლე, თაგვების რიცხვი შემცირდა, მაგრამ **საგრძნობლად - არა“** – ამბობს ფერმერი **ბესიკ თოფჩიშვილი,** რომელიც აღნიშნავს, რომ პრობლემის მოსაგვარებლად ერთიანი ძალებით ბრძოლაა საჭირო. „ყველა ფერმერმა უნდა შეიტანოს წამალი თავიანთ ნაკვეთში, სათითაოდ უნდა დამუშავდეს ყველა სორო და ამოიქოლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგი არასასურველი იქნება“.

მის აზრს იზიარებს ფერმერი **ელიზბარ იმერლიშვილი,** რომელმაც საკუთარი ნაკვეთი ხუთჯერ დამუშავა, თუმცა, რადგან მინდორში მრღრღნელების რაოდენობა მაინც დიდია, „თაგვის წამლის გაშლას“ კვლავ გეგმავს. **„მინდორში ამდენი თაგვი არ მახსოვს. უკვე ხუთჯერ შევიტანეთ წამალი, მაგრამ იმ ადგილას, სადაც კალოები აქვთ, რამდენიმე სორო მაინც გვხვდება, ამიტომ კიდევ ვაპირებთ სოროების დამუშავებას“**.

ელიზბარ იმერლიშვილის შეფასებით, წელს ხორბლისთვის ცუდი წელი ნამდვილად არ არის. მინას ტენი აქვს, ამიტომ ამ ზამთარს გვალვიანს ვერ ვუწოდებთ. მღრღნელების პრობლემას თუ მოვაგვარებთ, თავთავიანი კულტურების მოსავალი ცუდი არ უნდა იყოს, თუმცა, მოგეხსენებათ, პროგნოზი ჯერ ნაადრევია. მისი აზრით, ფერმერებისთვის წელს მთავარი გამოწვევა ხორბლის რეალიზაცია და მისი ფასია. **„მოსავლის აღების პერიოდში 1კგ. ხორბლის ფასი 1-1.50 ლარს შეადგენდა, ახლა კი 60 თეთრსაც არავინ გვთავაზობს. პურის ფასი იგივე რჩება, ფქვილი კი იმპორტირებულია. ძალიან გაუჭირდათ ჩვენს წისქვილკომბინატებსაც, ბევრი მათგანი, პრაქტიკულად, გაჩერებულია. ფერმერებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩასატარებლად თანხა სჭირდებათ, მაგრამ თუ პროდუქციის რეალიზაციას ვერ მოახდენენ, სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან“** – აცხადებს ის და ამბობს, რომ ხორბალი ჩვენს ქვეყანაში N1 სტრატეგიული პროდუქტია და უნდა არსებობდეს სახელმწიფო პროგრამა მის დასაცავად.

ამავე პრობლემაზე საუბრობს „საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორი **ლევან სილაგავა.** მისი განცხადებით, ქვეყანაში მხოლოდ იმპორტირებული ფქვილია, ხოლო ადგილობრივი ფქვილი მინიმუმამდეა დასული.

მისივე თქმით, ხორბალი არ შემოდის იმ მიზეზით, რომ დღეს რუსეთის საბაჟო - საექსპორტო გადასახადი მაღალია, რაც იმას ნიშნავს, რომ ხორბლის შემოტანას აზრი არ აქვს.

„ყველაზე კარგი სიტუაცია ბაზარზე მაშინაა, როდესაც ადგილობრივი წარმოებაც მუშაობს და ფქვილის იმპორტიც. თუ დღევანდელ სიტუაციას შევხედავთ, სამწუხაროდ, ადგილობრივი წისქვილკომბინატები გაჩერებულია, იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთის ბაჟი ისევ გაზრდილია. როდესაც რუსეთის საექსპორტო ბაჟი იზრდება, ეს ავტომატურად იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ფქვილის შემომტანები რუსეთის წისქვილკომბინატები ხდებიან. ეს კი ადგილობრივი წისქვილკომბინატების გაჩერებას ნიშნავს. სამწუხაროდ, დღეს მეორე ტალღაში შევდივართ, პირველი ტალღა შარშან იყო, მოგეხსენებათ, როდესაც წისქვილკომბინატების უმეტესობა გაჩერდა. ამასთან დაკავშირებით დღესაც პრობლემა გვაქვს. შესაბამისად, ქვეყანაში მხოლოდ იმპორტირებული ფქვილია, ხოლო ადგილობრივი ფქვილი მინიმუმამდეა დასული. აქედან გამომდინარე, სიტუაციას უფრო ფართო პრიზმით უნდა შევხედოთ.

ხორბალი არ შემოდის იმ მიზეზით, რომ დღეს რუსეთის საბაჟო-საექსპორტო გადასახადი უფრო მაღალია, რაც ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ ხორბლის შემოტანას აზრი არ აქვს და ქვეყანა იმპორტირებულ ფქვილზე გადავიდა. ფქვილზე გადასვლა ნიშნავს იმას, რომ ქვეყანას პურის ქარხნებისთვის მისაწოდებელი ფქვილი ექნება, მაგრამ წისქვილები გაჩერდება, რადგან ბიზნესმენებს ხორბლის შემოტანა და გადამუშავება არ უღირთ იმიტომ, რომ ეს უფრო ძვირი ხორბალი იქნება. სამწუხაროდ, შარშან საქართველო რუსეთიდან საექსპორტო ფქვილის შემოტანის მხრივ პირველ ადგილზე გავიდა. ყოველი მე-5 ტომარა ფქვილი რუსეთმა საექსპორტოდ გაყიდა საქართველოში. ეს კარგი ტენდენცია არ არის“,- განაცხადა ლევან სილაგავამ.

დედოფლისწყაროელი ფერმერების განცხადებით კი, ხორბალზე ფასების მკვეთრი დაცემა რუსეთ-უკრაინის ომმა გამოიწვია. მოგეხსენებათ, უკრაინა ხორბლის ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელია, ომის დროს კი ხშირია მორალური ხორბლის ფაქტები. ყველაზე მსხვილი ნადავლი უკრაინიდან დღეს ხორბალია. ეს იმ ფონზე, როცა წელს მარცვლეული კულტურების უხვ მოსავალს რუსეთიც არ უჩიოდა. თუ ხორბლის ქართველ გადამზიდავებს დავეყრდნობით, მათ 1 კგ. მარცვლეულის შემოტანა, დღევანდელი საწვავის ფასების გათვალისწინებით, 50-55 თეთრი უჯდებათ. ამიტომაც არ ჩანან ხორბლის რეალიზატორები და ამიტომაც დაეცა ხორბლის ფასი.

მიზეზები გასაგებია, მაგრამ თუ ოფიციალურ სტატისტიკას გავითვალისწინებთ, საქართველო ხორბლის ნეტო იმპორტიორი ქვეყანაა და შესაბამისად, დიდი რაოდენობით ხორციელდება იმპორტი. რაც იმას ნიშნავს, რომ ხორბლით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი ძალიან დაბალია და ის 2020 წლის მონაცემებით 15%-ს არ აღემატება. თუ ამ მონაცემს ლოგიკურ ჯაჭვში მოვაქცევთ, მივხვდებით, რომ ადგილობრივი პროდუქციის რეალიზაციაში შექმნილი პრობლემა ხორბლის მოყვანის საკითხს სერიოზულ ბარიერებს შეუქმნის.

ინგა ჭიოლაშვილი

„რეგიონალური და მუნიციპალური პორტალი“ ამოქმედდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ახალი ინტერაქტიული პორტალის „რეგიონული და მუნიციპალური პორტალი“ პრეზენტაციას დაესწრო, რომელიც სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამართა. შეხვედრას მთავრობის, დონორი ორგანიზაციების, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პორტალი ევროკავშირის, დანიისა და გაეროს განვითარების პროგრამის (**UNDP**) მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში მომზადდა და მისი მიზანია მუნიციპალურ დონეზე სტატისტიკური შესაძლებლობების განვითარება, სტატისტიკის წარმოების გაუმჯობესება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივ დონეზე განვითარების ღონისძიებების დაგეგმვასა და მონიტორინგს.

საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის **გოგიტა თოდრაძის** თქმით, - რეგიონული და მუნიციპალური პორტალი ხელმისაწვდომი იქნება ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის და საშუალებას მისცემს კიდევ უფრო მარტივად და სწრაფად მოიძიონ მათთვის საჭირველი სტატისტიკური ინფორმაცია, როგორც რეგიონის ასევე მუნიციპალიტეტის დონეზე.

პორტალი შესაძლებლობას იძლევა შედარდეს ძირითადი მაჩვენებლები, როგორც რეგიონების ასევე მუნიციპალიტეტების დონეზე. პორტალზე არსებული 80-მდე მაჩვენებელი მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა: მოსახლეობა და დემოგრაფია, ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, განათლება, კულტურა, მშენებლობა, ტურიზმი, ბიზნეს რეგისტრი, ბიზნეს სექტორი და სხვა.

„ევროკავშირი მხარს უჭერს სანდო და მრავალფეროვანი მუნიციპალური მონაცემების შეგროვებას საქართველოში. საქსტატის ახალი სერვისი ეხმარება პოლიტიკის შემქმნელებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას, გამოავლინონ არსებული ეკონომიკური, სოციალური თუ გარემოსდაცვითი საკითხები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს“, - განაცხადა **კოლომგ დე მერსიმ**, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მმართველობისა და ადამიანური კაპიტალის მიმართულების ხელმძღვანელმა.

„მუნიციპალიტეტებს სჭირდებათ სანდო და გამჭვირვალე სტატისტიკური ინფორმაცია, რათა თავისი საჭიროებები სწორად შეაფასონ და შესაბამისი პროგრამები დაგეგმონ. დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის მხარდაჭერის ფარგლებში, დანია ხელს უწყობს მუნიციპალური სტატისტიკის შეგროვების გაუმჯობესებას საქართველოში“, - აღნიშნა **ენ ტოფტ სორენსენმა**, დანიის ელჩმა საქართველოში.

„UNDP მიესალმება ევროკავშირსა და დანიასთან თანამშრომლობას, რომლის ფარგლებში ჩვენ ვეხმარებით საქსტატს მისი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საქმიანობის განხორციელებაში. საქსტატის საქმიანობა პასუხობს საქართველოს ეროვნულ საჭიროებებს სტატისტიკური მონაცემების მხრივ და ხელს უწყობს ქვეყნის მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას“, - აღნიშნა **ნიკ ბერესფორდმა**, გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში.

მუნიციპალიტეტების დონეზე სტატისტიკური მონაცემების წარმოების შესაძლებლობების ზრდა საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების 2020-2023 წლებისა და დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიებით განსაზღვრული ერთ-ერთი პრიორიტეტია. ზემოაღნიშნული სტრატეგიების ფარგლებში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და გაეროს განვითარების პროგრამა (**UNDP**), ევროკავშირისა და დანიის მთავრობის დაფინანსებით, თანამშრომლობენ ადგილობრივ დონეზე საჭიროებებზე დაფუძნებული სტატისტიკის წარმოების გაუმჯობესებისათვის.

პირველკლასელთა სკოლაში შესვლის ასაკი შესაძლოა, კიდევ გადაიხედოს

პირველკლასელთა სკოლაში შესვლის ასაკი შესაძლოა, კიდევ გადაიხედოს. როგორც პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმა განაცხადა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, პირველკლასელთა სკოლაში შესვლის ასაკის გადაწევასთან დაკავშირებით კვლავ მუშაობენ.

გიორგი ამილახვარის განმარტებით, სკოლაში შესვლის ასაკის ცვლილება სასკოლო ინფრასტრუქტურის მატებაზეა დამოკიდებული. „ახლა კეთდება ანალიზი, თუ როგორ გაიზარდა ამ ერთი წლის განმავლობაში სასკოლო ინფრასტრუქტურა. ამის მიხედვით მივიღებთ წელს ვადის გადაწევასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას. განათლების სამინისტროსთან ერთად ვართ კონსულტაციის რეჟიმში, რომ დავაზუსტოთ, ერთი წლის განმავლობაში, რა დოზით მოგვემატა სასკოლო ინფრასტრუქტურა. იცით, რომ ბევრი სკოლის რეაბილიტაცია მოხდა, მათ შორის ახალი სკოლები დაგვემატა, ახლა მიდის სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება. *თუ იქნა გადაწყვეტილება მიღებული, კანონში ცვლილებას ისე მოვახდენთ, არავინ შეფერხდება. როგორც გასულ წელს, წელსაც დაჩქარებული წესითაც შეგვიძლია კანონში ცვლილება, ან გავახანგრძლივებთ რეგისტრაციის ვადას. ამ ეტაპისთვის, კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. სავარაუდოდ, თებერვლის ბოლოს უკვე გვექნება ნათელი სურათი. მიგვაჩნია, რომ სკოლაში შესვლის წყალგამყოფი ასაკი უნდა იყოს 31 დეკემბრის ჩათვლით დაბადებული ბავშვები. ეს პოლიტიკა და ხედვა გაგრძელდება სასკოლო ინფრასტრუქტურის მატებასთან ერთად*“, - განაცხადა ამილახვარმა.

ცნობისთვის, გასულ წელს კანონში ცვლილებითა და პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, სკოლაში შესვლის უფლება 2022-2023 სასწავლო წლისთვის იმ ბავშვებსაც მიეცათ, რომლებიც 6 წლის, ნაცვლად სწავლის დაწყების თარიღისა, 1-ელ ოქტომბრამდე გახდნენ. მიღებული გადაწყვეტილებით, პირველკლასელი 2022-2023 სასწავლო წელს დამატებით 2500-მდე მოსწავლე გახდა.

დედოფლისწყაროში ოქროს და ვერცხლის მედალოსნები დაჯილდოვდნენ

დედოფლისწყაროს საჯარო სკოლებში ოქროსა და ვერცხლის მედალოსნებს მედლები დაგვიანებით გადაეცათ. როგორც გაზეთ „შირაქს“ საჯარო სკოლებში ეუბნებიან, ამჯერად 2020-21 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა მედლები გაიცა. პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო ბოლო წლებში პროცესი დაგვიანებით მიმდინარეობს. მოსწავლეები სასკოლო მედლებს უკვე სტუდენტობის დროს იღებენ.

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი მაკა ჯანაშვილი „შირაქს“ უყვება, რომ ამჯერად მუნიციპალიტეტმა 20 ოქროს და 7 ვერცხლის მედალი მიიღო და სკოლებში გაანაწილა.

ქ. დედოფლისწყაროს №1 სკოლა – 6 ოქრო; 1 ვერცხლი;

ეკატერინე გვენეტაძე
ალეკო კოტაშვილი
ლევან პოპიაშვილი

ანა ტუხაშვილი
ზაქრო ჭუაძე
მარიამ ჯალიაშვილი
რევაზ ოზბეთელაშვილი – ვერცხლი
ზემო ქედის №2 სკოლა – 4 ოქრო;
სალომე ბექაური
თამთა თეზელაშვილი
ირმა მკლავაშვილი
ელენე ჩოხელი
ზემო მაჩხაანის სკოლა – 3 ოქრო
ლუკა ნატროშვილი
მარიამ ოზბეთელაშვილი
ლია ჯანაშვილი
ზემო ქედის №1 სკოლა – 2 ოქრო, 1 ვერცხლი;
სალომე მკერვალიძე - ოქრო
თამუნა სეთური
თამთა ღუდუშაური - ვერცხლი
სამრეკლოს სკოლა – 2 ოქრო;
მარიამ კვანჭილაშვილი
შოთა ტალიაშვილი
არხილოსკალოს სკოლა – 2 ოქრო;
მარიამ ბედიოძე
ნიკუშა ქავთარაძე
ქვემო ქედის სკოლა – 1 ოქრო, 2 ვერცხლი;
ნიკოლოზ ხარხელაური - ოქრო
ანა ბურდული - ვერცხლი
თამარ ბაღიაური - ვერცხლი
არგოშიკი – 3 ვერცხლი
საბა ალადაშვილი
თამარ კაკალაშვილი
სალომე ცხვედიაშვილი

დედოფლისწყაროში მედიაციის ცენტრი გაიხსნება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მედიაციის ცენტრის ოფისის გახსნა იგეგმება. ამის შესახებ გაზეთ „შირაქს“ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოდან აცნობეს. საagენტო მედიაციის სივრცეების გახსნას რეგიონებში იწყებს. ოფისები უკვე გაიხსნა ქუთაისში, ხაშურში, ოზურგეთსა და ახალქალაქში. რამდენიმე თვეში კი სენაკში, გორში, დედოფლისწყაროში, დმანისში, საჩხერეში, ხობსა და ბათუმში გაიხსნება.

მედიაცია დამზარალებელსა და დაზარალებულს შორის არსებული კონფლიქტის ამოწურვას ემსახურება. ის აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპებს ეყრდნობა და ორიენტირებულია დანაშაულის შემხებლობაში მყოფი ყველა პირის ჩართულობაზე, მათი საჭიროებების იდენტიფიცირებასა და საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. 2022 წელს მედიაცია 658 პირის მიმართ იქნა გამოყენებული. წარმატებით დასრულებული მედიაციის მაჩვენებელი 60%-ით განისაზღვრა.

დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი ლადო ხელაძე ამბობს, რომ ოფისებში მხარეებისთვის უზრუნველყოფილია კომუნიკაციისა და მოლაპარაკების წარმოების ყველა პირობა.

„სათანადოდ აღჭურვილ სივრცეში მედიატორებს დაკისრებული მოვალეობის შესრულება გაუმარტივდებათ. მედიაციის მიზანია დამზარალებლისა და დაზარალებულის შერიგება, კონფლიქტების გადაწყვეტა და დანაშაულის გაცნობიერების ხელშეწყობა. განრიდება არასრულწლოვანთათვის, რომელიც მათი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ფორმა და სისხლის სამართლებრივი დევნის ალტერნატივაა. განრიდების პროგრამის არსებობის მანძილზე გასულ წელს განრიდების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო და 1175 პირს შეეხო,“ - აღნიშნავს ხელაძე.

უკანონო იარაღის შენახვისთვის დედოფლისწყაროში მამაკაცი დააკავეს

მასშტაბური ჩხრეკა რეგიონებში – შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი, ასევე, საბრძოლო მასალა ამოიღეს და საქართველოს მასშტაბით 13 პირი დააკავეს.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1976 წელს დაბადებული ბ.ს. დააკავეს. დედოფლისწყაროში სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის, დამხმარე სათავსოებისა და ავტომობილის ჩხრეკის შედეგად, გადაჭრილი ორლულიანი სანადირო თოფი ნივთმტკიცებად ამოიღეს. ხოლო ლაგოდეხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა კი 1982 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ა.ზ. დააკავეს. პოლიციამ ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღო ცეცხლსასროლი პისტოლეტი.

დანაშაულები 3-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების,გასაღების, ასევე, წესის დარღვევით ცეცხლსასროლი იარაღის საქართველოში შემოტანის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილებით, აგრეთვე, სსკ-ის 214-ე მუხლით მიმდინარეობს.

სამთაწყაროში ბოტულიზმით ქალი გარდაიცვალა

ბოტულიზმის შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა დედოფლისწყაროში. სოფელ სამთაწყაროში დიასამიძეების ოჯახში მომზადებული კიტრის მწნილი საბედისწერო აღმოჩნდა ოჯახის დიასახლისისთვის. როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ჯანმრთელობისთვის სახიფათო კონსერვი ცოლ-მაც მიირთვა და ქმარმაც, თუმცა ექიმებმა მამაკაცის გადარჩენა შეძლეს, ხოლო 65 წლის ქალისთვის მკურნალობა დაგვიანებული აღმოჩნდა და ის გარდაიცვალა. სპეციალისტები ამბობენ, რომ ოჯახში მომზადებული კონსერვები და მწნილები ხშირად ბოტულიზმით დაავადების მიზეზი ხდება, რაც სახიფათოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

საზღვრისპირა სოფელ სამთაწყაროში „შირაქს“ უყვებიან, რომ მამაკაცმა კვებითი ინტოქსიკაციის შემდეგ დედოფლისწყაროს საავადმყოფოს დროულად მიაკითხა, ქალმა კი - არა, რაც საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის. ინფორმაციას ადასტურებს დედოფლისწყაროს მთავარი ინფექციონისტი ლალი ალადაშვილიც. მისი განმარტებით, მამაკაცმა ექიმებს დასახმარებლად დროულად მიმართა, ქალი კი დაგვიანებით სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა უკვე მძიმე მდგომარეობაში შეიყვანა.

ლალი ალადაშვილი: „სახლში მომზადებული კონსერვი ხშირად ხდება ბოტულიზმის განვითარების მიზეზი, რადგან მოსახლეობა ვერ იცავს მომზადების წესს. განსაკუთრებული ჰიგიენური და ტექნოლოგიური პირობების დაცვაა საჭირო კონსერვის მზადების დროს, რაც საოჯახო პირობებში ხშირად დაცული არ არის. უნდა გვახსოვდეს, რომ ბოტულიზმის გამომწვევი ბაქტერია მრავლდება უჟანგბადო გარემოში. ამიტომ, საშინაო პიროებში კონსერვის სახით დამზადებული საკვები საფრთხის შემცველია. ბოტულიზმის შემთხვევა სამთაწყაროში სექტემბრის თვეში დაფიქსირდა. ცოლ-ქმარმა მიირთვა ოჯახში დამზადებული კიტრის პიკული. 66 წლის მამაკაცი საავადმყოფოში დროულად შემოვიდა და სათანადო მკურნალობის შემდეგ მისი გადარჩენა მოხერხდა. ქალბატონი საავადმყოფოში სასწრაფო დახმარების მიერ შემოვიდა, როგორც ჩანს უკვე მძიმე მდგომარეობაში მყოფმა გამოიძახა ეკიპაჟი და მათ გადმოიყვანეს, ამდენად, სამწუხაროდ, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

– კონკრეტულად რომელი პროდუქტია საფრთხის შემცველი?

– მაგალითად, ისეთი პროდუქტების როგორიცაა: კიტრი, წითელი მთელი პომიდვრის, ბადრიჯანის, მწვანე ლობიოს, წიწაკის კონსერვები უფრო ხშირადაა ბოტულიზმის სპორებით დაბინძურებული. იშვიათად, მაგრამ ყოფილა არასათანადოდ დამუშავებული კომპოტით მოწამვლის ფაქტები. შეგოლილი ხორცი და თევზიც გამხდარა ბოტულიზმით დაინფიცირების მიზეზი.



კონსერვის მზადების დროს ყველაფერი ყურადსაღებია: პროდუქტის ჰიგიენური დამუშავება, დუღილის ტემპერატურა, მჟავიანობის ან შაქრის დონე, ჰერმეტულობა, ძმრის, მარილის კონცენტრაცია. **ინფიცირებული პროდუქტი ხშირად ფერნაცვალია, აქვს თავისებური სუნი, კონსერვის თავსახური ამობურცულია.** ხშირად შეუმჩნეველი რჩებათ ეს ნიშნები და გვაქვს ბოტულიზმით ინფიცირების შემთხვევები.

– რა სიმპტომები აქვს ამ ინფექციას, როგორ მიხვდეს ადამიანი, რომ საკვებმა მოწამლა?

– ინფიცირებული საკვების მიღებიდან 5-7 დღეში შეიძლება გამოვლინდეს ბოტულიზმი. რაც უფრო დიდია ტოქსინის დოზა, მით უფრო ხანმოკლეა ინკუბაციური პერიოდი და უფრო მძიმედ ვლინდება დაავადება. **თავდაპირველად იწყება ძლიერი სისუსტე, მოდუნება, უმადობა, თავბრუსხვევა, თავის ძლიერი ტკივილი, პირის სიმშრალე. ხშირად ტემპერატურა არ ახასიათებს. იშვიათია ფაღარათი და გულისრევა. უფრო ხშირია ყაბზობა და ძლიერი წყურვილის შეგრძნება. ბოტულიზმის ყველაზე უფრო გამოკვეთილი სიმპტომებია გაორებული, ბუნდოვანი ხედვა, ყლაპვისა და სუნთქვის გაძნელება, კუნთოვანი ძლიერ სისუსტე იმ დონეზე რომ ხშირად პაციენტს თავის დაჭერაც კი უჭირს.** მსგავსი სიმპტომების განვითარებისთანავე დაუყოვნებლივ პაციენტი უნდა მოთავსდეს სტაციონარში, სადაც გაუკეთდება ბოტულიზმის საწინააღმდეგო შრატები და ჩაუტარდება სათანადო მკურნალობა. დროული მიმართვა ხელს უწყობს შედეგიან მკურნალობას.

– რას ურჩევენ სპეციალისტები დიასახლისებს, უსაფრთხო კონსერვების მოსამზადებლად რა უნდა გაითვალისწინონ?

– ბოტულიზმის პროფილაქტიკა და სანიტარიული ნორმები ასეთია:

1. კარგად გარეცხეთ პროდუქტი და ჭურჭელი, რომელსაც დაკონსერვებისთვის გამოიყენებთ.
2. დაიცავით მარილის, შაქრისა თუ ძმრის რეცეპტში მითითებული კონცენტრაცია - ეს ტოქსინის წარმოშობას უშლის ხელს.
3. კონსერვები შეინახეთ დაბალ ტემპერატურაზე.
4. არ შეიძინოთ შინ დამზადებული კონსერვები ბაზარში.
5. კონსერვებს დააკვირდით სახურავზე - ამობურცული არ უნდა იყოს.
6. დაიცავით დუღილის ტემპერატურის დრო.
7. კონსერვირების არც ერთი რეცეპტი არ იძლევა ბოტულიზმისგან დაცვის სრულ გარანტიას, ამიტომ კონსერვი მირთმევამდე გადმოადუღეთ ქვაბში და 15-20 წუთის განმავლობაში ადუღეთ. თუ კონსერვში ტოქსინი გაჩნდა, დუღილი მას გაანადგურებს. ბოტულიზმის პროფილაქტიკის მთავარი გზა სწორედ კონსერვირებული პროდუქტის თერმული დამუშავებაა.

ილია მარტყოფლიშვილი

დედოფლისწყაროში ეპისკოპოსის დადგენის შესახებ წმინდა სინოდს არ უმსჯელია

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოწვევით 14 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომა გაიმართა. კანონიკის თანახმად სინოდი წელიწადში ორჯერ უნდა იკრიბებოდეს, თუმცა, ორი წლის განმავლობაში სინოდის სხდომა არ გამართულა.

დედოფლისწყაროს მრევლის დაობლების შემდეგ ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქია მღვდელმთავრის გარეშე დარჩა, რის გამოც წელიწადზე მეტია ეპარქიის დროებითი მართვა **მიტროპოლიტ თეოდორე ჭუაძეს** დაევალა. **მეუფე დიმიტრი კაპანაძის** გარდაცვალებამდე 4 თვით ადრე დაქვრივდა ნეკრესის ეპარქიაც, რომლის მართვა სწორედ მეუფე დიმიტრის ჰქონდა შეთავსებული. დედოფლისწყაროს გარდა ამჟამად კიდევ 7 ეპარქიაა მღვდელმთავრის გარეშე. სასულიერო პირთაგან ეპისკოპოსად გამორჩევისა და ეპარქიებში ახალი მეუფეების დადგენის შესახებ სწორედ საპატრიარქომ და წმინდა სინოდმა უნდა გვაცნობოს. ამდენად, იყო მოლოდინი, რომ მაღალი იერარქიის სასულიერო პირები ამ საკითხებზეც იმსჯელებდნენ, რადგან ორწლიანი პაუზის გამო განსაკუთრებით ბევრი საკითხი დაგროვდა. სავარაუდოდ, დედოფლისწყაროში მღვდელმთავრის დადგენის საკითხი კიდევ გაჭიანურდება.

სინოდის სხდომა საპატრიარქოში 12 საათისთვის იყო დანიშნული. მღვდელმთავრებმა რეგიონებიდან დედაქალაქში ჩასვლა 10 საათიდან დაიწყეს, თუმცა 17 საათამდე სხდომა ვერ დაიწყო. მიზეზად დასახელდა ის, რომ პატრიარქი შეუძლოდ იყო. ხუთსაათიანი დაგვიანებით სინოდის სხდომა შედგა და 40 წუთში დასრულდა.

საპატრიარქოდან გამოსულმა **ბოდგელმა მიტროპოლიტმა იაკობმა** და **მეუფე ნიკოლოზმა** ჟურნალისტებს უთხრეს, რომ მღვდელმთავრების გარეშე დარჩენილ ეპარქიებზე პატრიარქს და სინოდს არ უმსჯელია და ეს საკითხი სხდომაზე არ დასმულა. უცნობი დარჩა, დღის წესრიგში ეს საკითხი საერთოდ არ იყო, თუ პატრიარქის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უწმინდესს ანგარიში გაუწიეს და სხდომა დროზე ადრე დაასრულეს.

მღვდელმთავრებიდან მხოლოდ საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებულ დიდი ბრიტანეთის და ირლანდიის ეპისკოპოსზე იმსჯელეს და გადაწყდა, რომ მას უფლებამოსილება შეუჩერდა, ეპარქია დროებით, უშუალოდ პატრიარქის გამგებლობაში გადავა. პატრიარქის ბრძანებით, დმანისისა და აგარაკ-ტაშირის, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ეპარქიის მღვდელმთავარი, მთავარეპისკოპოსი ზენონ იარაჯული 2022 წლის 16 ნოემბრიდან გათავისუფლებულ იქნა საქართველოს ეკლესიის დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ეპარქიის ხელმძღვანელობიდან და შეუნარჩუნდა დმანისისა და აგარაკ-ტაშირის ეპარქიის მმართველობა. მიზეზად ეპარქიაში შექმნილი ვითარება დასახელდა. მრევლის ნაწილსა და მღვდელმთავარს შორის კონფლიქტი თვეები გრძელდებოდა. მორწმუნეთა ჯგუფი მღვდელმთავარს რამდენიმე კანონიკურ და ზნეობრივ ბრალდებას უყენებდა. მეუფე ზენონი საპატრიარქოში დაიბარეს, თუმცა ორჯერ გადადო, რის შემდეგაც საპატრიარქომ დაუსწრებლად გაათავისუფლა. ის არც ამჯერად დაესწრო სინოდის სხდომას ავადმყოფობის მიზეზით.

მიწისძვრით გამოწვეული მსხვერპლის გამო სინოდმა სამძიმარი გამოხატა, იმსჯელეს უკრაინის ომზე. ასევე, ითქვა, რომ ჩრდილო მაკედონიის სახელმწიფოში არსებულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან ევქარისტიულ კავშირს ვამყარებთ.

ასამდე ოჯახში წყლის გამაცხელებელი დალუქეს

„სოკარ გაზის“ დედოფლისწყაროს ფილიალის სპეციალისტებმა უსაფრთხოების ნორმების მორიგი კონტროლი განახორციელეს. „შირაქის“ ინფორმაციით, დედოფლისწყაროში უამრავი ოჯახი გამოვლინდა, სადაც ჯერ კიდევ საფრთხის შემცველი წყლის გამაცხელებლები ჰქონდათ დამონტაჟებული. არადა, მედიასაშუალებებით ხშირად ვრცელდება ინფორმაცია, რომ არასწორად დამონტაჟებული გამათბობლებითა და წყლის ერთკამერიანი გამაცხელებლებით ადამიანების გარდაცვალების ფაქტი ხშირია.

როგორც „სოკარ-გაზის“ ადგილობრივი ფილიალის ხელმძღვანელმა **თემურ გოგილაშვილმა** გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, დედოფლისწყაროში გამოვლენილია ასამდე ასეთი ოჯახი. სპეციალისტებმა შეადგინეს ოქმი და ოჯახებს გამაცხელებლების შეცვლა დაავალეს.

„ქედებისა და სამთაწყაროს ზონაში ჩვენი სპეციალისტების მიერ ასეთი საფრთხის შემცველი დარღვევები არ გამოვლენილა. როგორც იცით, ქვედა სოფლებში გაზი სულ ახალი შეყვანილია და შესაბამისად, ყველა ოჯახმა უსაფრთხო ტექნიკა დაამონტაჟა, თუმცა ქალაქ დედოფლისწყაროსა და მიმდებარე სოფლებში ბევრი ხარვეზი გამოვლინდა. ე.წ. ცალკამერიანი „კალონკები“ კვლავ ბევრს ჰქონდა დამონტაჟებული და ჩვენმა ჯგუფმა ისინი დალუქა. უნდა გვახსოვდეს, რომ ცალკამერიანი გამაცხელებლები სახიფათოა ადამიანის სიცოცხლისათვის და ამიტომ უნდა ამოღებულ იქნას მოხმარებიდან. ასეთ ოჯახებს დაევალა, დაუყოვნებლივ გამოცვალონ წყლის გამაცხელებლები. ადამიანები თავადვე უნდა იყვნენ დაინტერესებულნი, რომ გაუფრთხილდნენ საკუთარი და ოჯახის წევრების სიცოცხლეს და საცხოვრებელ სივრცეს მოარიდონ ასეთი დანადგარები, რომლებიც აკრძალულია. აუცილებელია ტექნიკა დაამონტაჟოს მცოდნე სპეციალისტმა,“ – აღნიშნავს გოგილაშვილი.

ორკამერიანი გამათბობელი და წყლის გამაცხელებელი ჟანგბადის მარაგს გარედან იღებს, შესაბამისად, ოთახის ჰაერთან შეხება არ აქვს. ცალკამერიანები კი პირიქით, მხოლოდ ოთახის ხარჯზე იკვებება, რის გამოც მხუთავი აირის დაგროვება ხდება. მას არ გააჩნია სუნი, რის გამოც ადამიანი შესაძლოა ისე დაიღუპოს, საფრთხე ვერ გაიცნობიეროს... CO^2-ს შეუძლია ადამიანი ისე დააძინოს და გაგუდოს, რომ ვერაფერი იგრძნოს მოწამვლის შესახებ. სწორედ ამიტომ ვერ ასწრებენ ისინი ფანჯრის გამოხსნას, ან სასწრაფო დახმარების გამოძახებას. **რეკომენდირებულია, რომ ოთახში, სადაც წყლის გამაცხელებელია დამონტაჟებული, პატარა ფანჯარა ოდნავ ღია დატოვოთ.**

სპეციალისტები ასევე გვირჩევენ, რომ დაუშვებელია გაზის მილებისა და გამათბობლების თვითნებური მონტაჟი. კუსტარულად დაყენებული ტექნიკა შესაძლოა ნამწვის დაგროვებას, ან გაზის გაჟონვას უწყობდეს ხელს, ამდენად, აუცილებელია დამონტაჟება სთხოვოთ სპეციალისტს და არა ნებისმიერ ხელოსანს. ასევე სახიფათოა რეზინის მილებით გაყვანილი ბუნებრივი აირი ოთახებში.

ილია მარტყოფლიშვილი

„საჭიროა როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე კავკასიის ისტორიის შესწავლა“

ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან უამრავი ახალგაზრდა გაუცვნია საზოგადოებას. თითოეული მათგანი გამორჩეული იყო თავისი ნიჭიერებით, სამყაროს აღქმითა და მსოფლმხედველობით. მანამ, სანამ მორიგი, შესანიშნავი ახალგაზრდის შემოქმედებას წარგიდგენთ, გვსურს მასთან ინტერვიუ შემოგთავაზოთ, რომელიც კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორი მრავალმხრივი ინტერესების დაუშრეტელი საბადოა დღევანდელი ახალგაზრდობა. ეს არაჩვეულებრივი გოგონა მარიამ სეხნიაშვილია. ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია და ისტორიასთან ერთად კავკასიოლოგიის ინსტიტუტში ჩერქეზულ ენას ეუფლება. როგორც თვითონ ამბობს, ძალიან აინტერესებს კავკასიელი ხალხები, მათი ისტორია, კულტურა, ენები...

მარიამი 2021 წელს გახდა კავკასიური სახლის სახალხო უნივერსიტეტის მსმენელი და გაცნობისთანავე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. მაშინ, სწორედაც რომ შეძრა მსმენელის გული, მოთხრობამ „მიწის ყივილი ზღვის გადაღმიდან“, რომელიც მარიამმა კავკასიოლოგიის უნივერსიტეტის პლატფორმაზე გამოაქვეყნა. მოთხრობა უბიხი ხალხის ტრაგიკულ ბედის შესახებ. ახლახანს კი მან, უნაპირო სიყვარულის ამოძახილად მონათლული მცირე მოცულობის ტექსტი გამოაქვეყნა, რომელიც პოეტური პროზის ჟანრს უნდა მივაკუთვნოთ. ის კოლხი ქალის - მედეას საოცარი, ტრაგიკული სიყვარულის ისტორიას გვახსენებს - სიყვარულს, რომელიც უკვე მრავალი საუკუნეა ხელოვნების სხვადასხვა ჟანრში მოღვაწე ადამიანის შთაგონების წყარო გამხდარა...მანამდე, კი გავიცნოთ მარიამი:

-მარიამ მოგვიყევი შენს შესახებ - სად სწავლობ, რას აკეთებ, თავისუფალ დროს რას აკეთებ, რა ინტერესები გაქვს. გაეცანი მკითხველს.

დავამთავრე დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლა, რომელმაც ჩემი, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშა. 2020 წელს ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულებაზე, ამჟამად მესამე კურსის სტუდენტი გახლავართ. დღეისთვის ჩემი ინტერესები სხვადასხვა პერიოდის ისტორიის შესწავლაა. მინდა, რომ მაქსიმალურად ვიყო ჩართული სასწავლო პროცესში და გამოვავლინო ჩემი შესაძლებლობები, განვივითარო ახალი უნარები, რაც ხელს შეუწყობს ჩემს პროფესიულ საქმიანობას. თავისუფალი დრო ნაკლებად მაქვს. თუ ასეთი დრო გამომიჩნდება მირჩევნია გასეირნება, სხვადასხვა საინტერესო ადგილების მონახულება.

-როგორც თქვი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიას სწავლობ. თუმცა, პარალელურად, კავკასიოლოგიის ინტიტიტში ჩერქეზულ ენას ეუფლები. რატომ ისტორია, ჩერქეზული ენა და კავკასიის ხალხების ისტორია? რამ განაპირობა შენი არჩევანი?

სკოლის დამთავრების შემდეგ დიდხანს არ მიფიქრია რა პროფესია უნდა ამერჩია, რადგან ძალიან კარგად მქონდა გააზრებული ჩემი ინტერესი და სურვილი ისტორიის სიღრმისეულად შესწავლისა. დატვირთული რეჟიმისა და საკმაოდ ბევრი დავალების მიუხედავად, ერთხელაც კი არ მინანია ჩემი არჩევანი, იმიტომ, რომ საოცრად საინტერესოა ის ყველაფერი რასაც ვეცნობი. არ მეგონა სტუდენტური ცხოვრება ასე ძალიან თუ მომეწონებოდა, არც ერთი დღე ერთმანეთს არ ჰგავს, ყოველდღე ახალ რაღაცას ვსწავლობ. ძალიან კარგი ლექტორ-სემინარისტები მყავს, რომლებიც უდიდეს ცოდნას გვიზიარებენ.

რაც შეეხება ჩერქეზულ ენას და ჩემს დამატებით სპეციალობას-კავკასიოლოგიას. ის კიდევ უფრო ამრავალფეროვნებს ჩემს ცხოვრებას. კავკასიოლოგიის პროგრამის არჩევა კავკასიური სახლის „სახალხო უნივერსიტეტის“ კურსმა განაპირობა. სწორედ კავკასიას შევისწავლი, რადგან მიმაჩნია, რომ კავკასიელი ხალხების კულტურის, ისტორიის, ენების შესწავლა ძალიან საინტერესო და საჭიროა. ამას ცხადყოფს ივანე ჯავახიშვილის სიტყვები: „ყოველი განათლებული ქართველი ვალდებულია ისევე შეისწავლოს და იცოდეს ამ ხალხთა ენა და ისტორია, როგორც საკუთარი ერისა და ქვეყნისა“. კავკასიური ენების შესწავლა კი უმთავრესია ჩემი შემდგომი საქმიანობისთვის. ადიღეურ (ჩერქეზულ) ენას ვეუფლები თსუ-ს კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში, ქალბატონ თამარ უჯუხუსთან, რომელიც უდიდეს ენერგიას დებს, რომ ურთულესი ადიღეური ენა ჩემთვის ადვილი შესასწავლი გახდეს. ქალბატონი თამარი ხშირად მიმეორებს, რომ „შენ ყველაფერი შეგიძლია“. შესაბამისად, მისი და სხვა დანარჩენი ლექტორების დარიგებები, რჩევები არ მაძლევს საშუალებას სირთულეებს შევუშინდე. ჩემი აზრით, ადიღეური ენა ძალიან გამორჩეული, განსხვავებულია, აქვს საკმაოდ რთული ფონეტიკური სისტემა, თუმცა მსგავსებებიც არის გრამატიკული თვალსაზრისით ჩვენს ენასთან, რაც დიდწილად მეხმარება. თავდაპირველად თავისი ჟღერადობით მეუცნაურებოდა, მაგრამ მალევე ძალიან შემიყვარდა, ყოველთვის ხალისით ვსწავლობ, ვადგენ ტექსტებს, ვსაუბრობთ, ამასთან ქალბატონი თამარი მიყვება ჩერქეზულ ადათ-წესებზე, იმ ისტორიებზე, რაც ჩემთვის ისტორიკოსისთვის ძალიან საინტერესოა. ხშირად მე და ჩემი ჯგუფელი ვამბობთ, რომ „საოცრებათა ქვეყანაში“ ვხვდებით, როცა ადიღეური ენის ლექციები გვაქვს. გარდა იმისა, რომ ენის სტრუქტურას ვეცნობი, მინდა რომ სხვა იბერიულ-კავკასიური ენებიც ვისწავლო, რაც კიდევ უფრო მეტ საშუალებას მომცემს ჩემი ისტორიული კვლევები მეტად სრულფასოვანი და საინტერესო იყოს.

-ასევე ვიცით, რომ შემოქმედებითადაც აქტიური ხარ, წერ ნოველებს, მოთხრობებს. რომელია შენი პირველი მოთხრობა, რამაც შენზეც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც ავტორზე და ასევე მკითხველის სასიამოვნოდ გაკვირვებული დატოვა? რომელი მოთხრობით წარსდექი მკითხველის წინაშე?

შემოქმედებითი თვალსაზრისით, მგონია, რომ აქტიური არ ვარ, იმიტომ რომ ხშირად იმდენ დროს ვერ/არ ვუთმობ წერას, რამდენიც საჭიროა. გარდა ამისა, დიდი დრო, დაკვირვება სჭირდება პატარა ჩანახატის შექმნასაც კი. სკოლაშიც ყოველთვის ვწერდი, მაგრამ არა ნოველებს. ჩემი პირველი ნოველა იყო „მიწის ყივილი ზღვის გადაღმიდან“, რომელიც უბიხების ტრაგიკული ბედის შესახებაა. ის სწორედ კავკასიური სახლის პროექტის ფარგლებში დავწერე, არ მეგონა თუ ასეთ მოწონებას დაიმსახურებდა. გაგზავნიდან ორ საათში დამირეკა „სახალხო უნივერსიტეტის“ კონსულტანტმა და ალმანახის მთავარმა რედაქტორმა, მიხო ბეროშვილმა, რომელმაც დიდი მოტივაცია მომცა წერის გასაგრძელებლად. უდიდეს მხარდაჭერას, სითბოს, ყურადღებას ვგრძნობ ბატონი მიხოსგან, ქალბატონი თამარისგან და კავკასიური სახლის ადმინისტრაციისგან.

-გვითხარი რამდენიმე წინადადება შენი ახალი ნოველის „მედეას“ შესახებ. რატომ მედეა? რატომ მისი ამ კუთხით წარმოჩენა?

„მედეა“ ერთი წლის წინ დავწერე. ანტიკურ ისტორიას, ძველ ბერძნულ ენას ვსწავლობდი და ბერძნულ მითოლოგიითაც უფრო მეტად დავინტერესდი. მახსოვს რომ ქარიან დღეს დავწერე ეს, მცირე, ერთგვერდიანი ნოველა. ყოველთვის მგონია, რომ ისტორიული პიროვნებების შესწავლა ერთი კუთხით არ შეიძლება, ამიტომ მუდმივად ვცდლობ სხვადასხვა კუთხით შევაფასო ესა თუ ის მოვლენა ან პიროვნება. მკითხველმა უნდა შეაფასოს, რამდენად გამომდის ან არ გამომდის ეს.

-სულ ახლახანს „კავკასიური სახლის“ პროექტის „კულტურის კალენდრის“ ეგიდით სამეცნიერო-ლიტერატურული ალმანახის „ჩვენი სამყაროს“ წარდგენა გაიმართა, სადაც შენი ნოველაცაა შესული. რა მნიშვნელობა ჰქონდა შენთვის ამ კონფერენციას, ამ პროექტს და მთლიანად, კავკასიური სახლის არსებობას?

„კავკასიური სახლი“ ჩემთვის ის ადგილია, სადაც უდიდეს ცოდნას და გამოცდილებას ვიღებ, ვეცნობი ადამიანებს, რომელთაც კავკასია სხვადასხვა კუთხით აინტერესებთ. თან საუნივერსიტეტო სწავლებასთან დროის შეწყობა სულაც არ არის რთული. კავკასიური სახლის პროექტ „სახალხო უნივერსიტეტის“ მონაწილე ჯერ კიდევ პირველ კურზე გავხვდი, მაშინ როცა პანდემიის გამო ვერ დავდიოდი უნივერსიტეტში, ამიტომ არაჩვეულებრივი საშუალება მომეცა თავისუფალი დრო საინტერესო ლექციებისთვის დამეთმო.

კავკასიურ სახლში 25 ოქტომბერს გაიმართა II რეგიონალური კონფერენცია, სადაც წარმოვადგინე თემა: „ქართულ-ალბანური ურთიერთობების ისტორიიდან“, დავწერე სტატიაც ამავე საკითხზე, რომელიც დაიბეჭდა ალმანახში. პირველი კურსიდან მინდოდა შემესწავლა კავკასიის ალბანეთის ისტორია. ბევრი ვიფიქრე როგორი სათაური, შინაარსი ექნებოდა ჩემს მოხსენებასა თუ სტატიას. შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი ბედნიერი არც ერთ თემაზე მუშაობისას არ ვყოფილვარ. აგვისტოს ბოლოდან მოყოლებული წყაროების საშუალებით „ვმოგზაურობდი“ იბერიისა და ალბანეთის სამეფოების სოფლებში, მათ წარმართულ თუ ქრისტიანულ ტაძრებში. მუშაობის პროცესში ჩემი წარმოსახვითი ალბანელები ძალიან „მეხმარებოდნენ“ და ახლაც არ „მშორდებიან“. შესაბამისად, აღნიშნულ კონფერენციას და ზოგადად კონფერენციებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ შევძლო თავის წარმოჩენა. ძალიან კარგია, როცა საკითხზე ვმუშაობ და შემდეგ მაღალი დონის სპეციალისტებისგან ვისმენ რჩევა-დარიგებებს, ჯანსაღ კრიტიკას.

10 თებერვალს კი „კავკასიური სახლის სახალხო უნივერსიტეტის“ ადმინისტრაციამ „კავკასიური სახლის“ იორგ ჰენლეს სახელობის დარბაზში საზოგადოების წინაშე წარმოადგინა პროექტის სამეცნიერო-ლიტერატურული ალმანახი „ჩვენი სამყარო“. აღნიშნულ პრეზენტაციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის. ალმანახში დაბეჭდილ კვლევებზე და სტატიებზე ისაუბრა „სახალხო უნივერსიტეტის“ მსმენელმა და ალმანახის სამეცნიერო ნაწილის რედატორმა დავით ოქროპირიძემ. ბატონმა დავითმა შეაფასა ჩემი სტატია. აღნიშნა, რომ ვარ ჩამოყალიბებული მეცნიერი, თუმცა ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიშრომო. ალმანახში დაბეჭდილი ლექსებისა და პროზაული ნაწარმოებები დამსწრე საზოგადოებას გააცნო პროექტის კონსულტანტმა და ალმანახის მთავარმა რედაქტორმა, მიხო ბეროშვილმა, რომელმაც ძალიან კარგად შეაფასა ჩემი ნოველები.

-შენი აზრით, რამდენად დაინტერესებულია დღევანდელი ახალგაზრდობა ქვეყნისა და ზოგადად, კავკასიის რეგიონის ისტორიით? რას ურჩევდით მათ ამ კუთხით?

უამრავ ახალგაზრდასთან მაქვს კომუნიკაცია. ჩემი დაკვირვებით, მათი უმეტესობა დაინტერესებულია საქართველოსა და ზოგადად კავკასიის ისტორიით. ხშირ შემთხვევაში, როდესაც სტუდენტები ერთმანეთს ვუზიარებთ საინტერესო ფაქტებს, აზრებსა თუ წიგნებს, მრჩება შთაბეჭდილება, რომ დღევანდელ ახალგაზრდობას საკმაოდ აინტერესებს ქვეყნის, რეგიონის წარსული, აწმყო და, რა თქმა უნდა, მომავალიც. ახალგაზრდებს და მოსწავლეებს კი ვურჩევდი, რომ ძალიან საინტერესო და საჭიროა ჩვენი ქვეყნის, კავკასიის ისტორიის ცოდნა. აუცილებლად გაეცნონ მას.

გაზეთი „შირაქი“ ამ ახალგაზრდა რომანტიკოსს უსურვებს უამრავ წარმატებას მეცნიერებისა და მწერლობის რთულ გზაზე...თქვენ კი გთავაზობთ მარიამის მოთხრობებს. შეფასება თქვენთვის მოგვინდია:

***

„მიწის ყივილი ზღვის გადაღმიდან“

შემოდგომის სურნელი ტრიალებდა თურქეთის ერთ პატარა სოფელში. ირგვლივ ბავშვების ჟივილ-ხივილი ისმოდა. მეც და ჩემი დებიც გარეთ ვთამაშობდით მეგობრებთან ერთად, მშობლებს ხან ჩვენკენ ეჭირათ თვალი, ხან კი მუხლჩახრილები ბოსტანს მარგლიდნენ და სარეველა ბალახისგან ასუფთავებდნენ. სარეველა ბალახს გლეჯდნენ. რამდენიმე საათში ისე აცივდა, მეგონა ყინულად ვიქცეოდი.

დაღამდა. ისეთი ელღვარი წამოვიდა, ლამის ცა ჩამოიქცა. ჭექა-ქუხილი აყრუებდა იქაურობას და ჩვენ, ოთახში შეყუჟულს გარეთ დარჩენილი წიწილების წივწივი გვესმოდა. კიდევ უფრო შეშინებულები ჩანდნენ ჩემი დები. შიშისაგან გაფართოებულ თვალებს აფახულებდნენ და დედას ეხუტებოდნენ. იმ ღამეს არავის ეძინა.

...მე პატარა უბიხი ბიჭი ვარ. მშობლებმა ჩვენი სახელოვანი გმირის, ჰაჯი დაგუმოყვა ბარზეგმას სახელი დამარქვეს, რომელმაც მრავლჯერ ისახელა თავი უთანასწორო ბრძოლებში.

ჩვენ-ბიხები დიდი ხნის წინ მოგვწყვიტეს ჩვენს სამშობლოს. ხვალ 12 წლის გავხდები. მე ორი და, დედა და მამა მყავს. ძმა სოფლის ბოლოს ცხოვრობს, ახალდაოჯახებულია, მან სამი თვის წინ ჩერქეზი გოგონა შეირთო ცოლად. მასავით ლამაზი არავინაა სოფელში, მზესავით ანათებს ჩვენი რძალი. ამ წვიმიან, ბნელ ღამეს მას რომ ვუმზერდეთ, ხომ არ დაგვჭიდებოდა სანთელი?! სოფელში შვიდი უბიხი ვართ. კიდევ ერთი ჩვენებური კაცი სოფლისგან მოშორებით, მდინარის პირას ცხოვრობს, ის ლამის 90 წლის გამხდარა. მოხუცი ჩუმი სიტყვაძვირი კაცია. ისეთი თბილი გამოხედვა აქვს, რომ...ბავშვებს როცა გვხედავს, მოდის, ხან ლეღვი, ხან ვაშლი და თხილი მოაქვს. ასეთი გემრიელი ხილი არავის გვიჭამია. ხშირად მინახავს მტირალი. რა ატირებდა?-რა გითხრათ...

...უბიხური ენა მარტო მან იცოდა სოფელში.

დედ-მამას უბიხური დაავიწყდათ ჩვენამდე ვერ მოიტანეს და გული მტკივა. ჩერქეზულსა და ცოტა თურქულს ვსწავლობთ, ბევრი სიტყვა არ ვიცით და სკოლაში ძლივს ვიგებ, რასაც მასწავლებელი გვიხსნის. ამ მოხუცის ცოლ-შვილი რამდენიმე ათეული წლის წინ საშინელ ხანძარს ემსხვერპლა. იმდროს თვითონ სახლში არ ყოფილა და ვერ მიეშველაო საბრალოებს. მას მერე სხვა ცოლი აღარ შეურთავს, სოფელში ამბობდნენ ვარსკვლავივით ცოლი ჰყავდაო. მთელი კვირა ჭექა-ქუხილი აყრუებდა არემარეს და კოკისპირულად წვიმდა. კვირის ბოლოს წვიმამ გადაიღო და მეც შვებით ამოვისუნთქე. კვირა დილით ძახილი შემომესმა, მარტო ვიყავი სახლში. გავიხედე და გარეთ ჩვენი მოხუცი უბიხი პაპა დავინახე.

-ჰაჯი, თუ გცალია, ჩემთან წამოდი.

-მცალია, პაპა ტევფიკ, წამოვალ...

მოხუცს ხშირად ჰქონდა სახე სევდიანი, მაგრამ დღეს თვალებში ბევრი ნაღველი ჩასდგომოდა და სახეზეც ფერდაკარგული მომეჩვენა. მივყვებოდი და ვფიქრობდი,-ნეტავ. რისთვის დამიძახა? გზაში მესმოდა მისი მძიმე სუნთქვა, ხანდახან ჩერდებოდა და მუხლები ისე უთრთოდა, მეგონა წაიქცეოდა, თუმცა მერე ისევ მოიკრებდა ხოლმე ძალას და გზას განარგრძობდა. მალე მის სახლსაც მივაღწიეთ. მოხუცის ეზო-კართან პირველად ვიყავი/ კი ვხედავდი შორიდან, როგორი მოვლილი და მოწესრიგებული იყო იქაურობა, თუმცა მანამდე იქ ფეხი არ დამიდგამს. თუმცა ბაღში ბევრი ხეხილი იდგა - დიდებიც და პატარებიც.

/გაგრძელება გვ.5/

„გიორგელების“ მეთორმეტე საქველმოქმედო კონცერტი

11 თებერვალს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის სახლის სცენაზე ანსამბლმა „გიორგელებმა“ (სამხატვრო ხელმძღვანელი ხვიჩა ზუბიაშვილი) რიგით მეთორმეტე საქველმოქმედო კონცერტი გამართა.

ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელების განცხადებით, ქართული ხალხური ტრადიციების შენახვისა და შენარჩუნების პარალელურად, მათთვის მნიშვნელოვანია საქველმოქმედო ხასიათის კონცერტების გამართვა. აქციების შედეგად შემოსული თანხით მუდმივად ეხმარებიან გაჭირვებულ ადამიანებს, ოჯახებს... 11 თებერვლის საქველმოქმედო კონცერტიც არ იყო გამონაკლისი. ამჯერად შემოსულმა თანხამ 700 ლარზე მეტი შეადგინა და ის ჩვენი თანაქალაქელის ჯანმრთელობის პრობლემის მოგვარებას მოხმარდება.

„საჭიროა როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე კავკასიის ისტორიის შესწავლა“

/დასაწყისი გვ.4/

ირგვლივ ულამაზესი ყვავილები გტაცებდნენ თვალს, მწვანე მოლზე ხის პატარა სკამები იდგა და საოცარი სიმშვიდე სუფევდა. მოხუცმა სკამზე მიმითითა - აქ ჩამოვჯდეთო. უსიტყვოდ დავემორჩილე. არაფერი მითქვამს - არ ვიცოდი რატომ წამომიყვანა თავისთან. ერთხანს ჩუმად იჯდა და მერე ნაღვლიანი ხმით დაიწყო:

-ჩვენ არ გვინახავს უბიხეთი, დაბადებიდან უსამშობლონი ვართ. ჩემმა მშობლებმაც აქ გაიცნეს ერთმანეთი, შეუღლდნენ და იცხოვრეს ბედნიერად, მაგრამ ძალიან შორს მშობლიური მიწისგან. მე ვიცნობდი მამაშენის მშობლებს, იმიტომ ვიცნობდი, რომ მხოლოდ ჩვენი, ორი უბიხური ოჯახი ცხოვრობს აქ. მამაჩემი მიყვებოდა, როგორ იზრდებოდა მისი პაპა შახეს ნაპირას. მერე უკვე - 6 წლის ასაკში იმ საშინელი ომისა და უბედურების შემდეგ მოწყვიტეს უბიხები მშობელ მიწას, ისე, როგორც დედას მოსტაცებენ ხოლმე ჩვილ, მტირალ ბავშვს. პაპაჩემს დედა გემზე მგზავრობისას გარდაეცვალა, ის შენმა დიდმა ბებიამ შეიფარა და გაზარდა.

-მამამ მიამბო, რომ თქვენ და პაპა ერთად გაიზარდეთ.

-ხო, ასე იყო. მათი ბავშვობა მაშინ დამთავრდა, როცა გემზე, რომელიც ჩვენი სამშობლოდან ოსმალეთისკენ მოემართებოდა. ნახეს, როგორ იხოცებოდნენ გზაში უბიხები, მათი საყვარელი ადამიანები, ნახეს შიმშილი, უიმედობა, ესმოდათ ქალებისა და ბავშვების მოთქმა-ვაება. მათ ყველაფერი დაკარგეს, მაგრამ ჩვენ უფრო ვიტანჯებით, ვიდრე ისინი. აღარ გვაქვს სამშობლოს ნახვის იმედი. მათ მშობლიური მიწის ხმები მაინც ესმოდათ, ახსოვდა უმშვენიერესი სანახები, ჩვენ კი - ამ ხრიოკ მიწაზე გადმოხვეწილებს, აღარაფერი აღარ შეგვრჩა საკუთარი. შენ უბიხური ენა თუ იცი? შენი ხალხის სიმღერები, ტრადიციები იცი?

-არა

-ოჰ... მძიმედ ამოისუნთქა მოხუცმა. -ჩვენ - თვახები, ყველაზე გვიან დავნებდით რუსებს, ყველაზე მეტადაც ჩვენ დავზარალდით, მოვწყდით უბიხეთს, მაგრამ მჯერა, აღვიდგენთ ძალებს და კვლავ გავმრავლდებით. მოდი ხვალ ჩემთან. მინდა უბიხურ ენას ეზიარო. მე გასწავლი. ენათა შორის უბიხური გამორჩეულია...

- თვახები რას ნიშნავს?

- ეს ჩვენი, უბიხების თვითსახელწოდებაა.

თავი ჩავღუნე- შემრცხვა, რომ არ ვიცოდი.

- გასწავლი, არ ინაღვლო. უბიხური მიწა ვთხოვე მეგობარს, თუ ჩამომიტანა, გიწილადებ და მოეფერე შენს სამშობლოს. მერე თვალები დახუჭე და წარმოიდგინე, თითქოს პატარა უბიხურ სოფელში ხარ, შახეს ნაპირას, დედა პურს აცხობს, მამა ხურჯინს ამზადებს, რომ ჭარბად მორჩენილი საქონელი გაყიდოს. იცი, რამდენჯერ მეზმანა მშობლიური ტყე-მინდორი? ვინ მოსთვლის... მაშ, მოდი ხავალ, ჩემო ბიჭო. სკოლის მერე და გასწავლი, ვინ ხარ, საიდან ხარ, წინ რა გველის...

-კარგი,-ომახიანად ვუპასუხე ტკბილმოუბარ მოხუცს.

- ერთი რამ იცოდე და არ დაგავიწყდეს: შენ დიდებული, შეუდრეკელი ხალხის შთამომავალი ხარ, სისხლით და ხორცით უბიხი, რომელსაც მხოლოდ იარაღითა და ძალით წაართვეს სამშობლო, მაგრამ ჩვენს ისტორიას ვერავინ წაშლის, ვერავინ გაანადგურებს, თუნდაც სულ გავწყდეთ. ახლა კი წადი, მშობლები გელოდებიან, გაიქეცი.

ასე გამომიშვა პაპა თევფიკმა სახლში და ჩვეულებისამებრ, დებთან ხილი გამატანა და მშვიდად დამემშვიდობა. მივდიოდი და მიხაროდა, რომ ხვალ კვლავ ვესტუმრებოდი მოხუცს და ჩემს უბიხურ ენას ვისწავლიდი.

მთელი ღამე ისევ წვიმდა. დილამდე, არ გადაუღია. სკოლაში წასვლა არ მინდოდა, ძალის-ძალით წავედი, მთელი გზა მოხუცზე და მის მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე, უბიხურ ენაზე ვფიქრობდი. გაკვეთილებზე მოუსვენრად ვიჯექი, ერთი სული მქონდა როდის დამთავრდებოდა.

...სკოლიდან მოვედი თუ არა, ჩანთა ოთახის კუთხეში მივაგდე, დედა შემეხვეწა, რამე შეჭამეო, მაგრამ მე უკვე ჭიშკრისკენ გავრბოდი, როცა ზღურბლზე მამა შემეფეთა, ის ფეხზე ძლივსღა იდგა და თვალებში ცრემლი მორეოდა.

-რა მოხდა?

- ძია ტევფიკი...

- რა მოუვიდა?

-გული გაუჩერდა.

-კი, მაგრამ... - ჩავფიქრდი და მივხვდი, რომ თბილი მოხუცი დავკარგე, დავკარგე უბიხი პაპა, რომელსაც ჩემთვის მშობლიური ენა უნდა ესწავლებინა, მაგრამ ვეღარ მასწავლიდა...

...წლების შემდეგ გავიგე, რომ ის უკანასკნელი უბიხი იყო, რომელმაც იცოდა მშობლიური ენა. ტევფიკ ესენჩი 1992 წლის შემოდგომაზე, 7 ოქტომბერს გარდაიცვალა. მისმა მეგობარმა ვერ შეძლო მიწის ჩამოტანა უბიხეთიდან. მე მხოლოდ 20 წლის შემდეგ შევძელი ჩამომეტანა ის - მიწა, რომლის ყივილიც მას ზღვის გადაღმიდან ესმოდა...

***

...მკვდარ ენათა საუფლოში, 1992 წელს უბიხურიც მოხვდა, საუფლოში, სადაც ჩვენთვის გაუგებარ ენებზე საუბრობენ. უკანასკნელ უბიხს დახვდნენ უკანასკნელი მოლაპარაკენი ალბანურისა, ურარტულისა, ხათურისა და კავკასიის სხვა დაკარგული, დაფერფლილი ენებისა. იქ ისმის სიმღერა, მხიარულება, საუბარი იმ უნიკალურ ენებზე, რომლებიც ჩვენ აღარ ვიცით. კავკასიური მკვდარი ენები სიხარულით ელიან მკვლევართ, რათა მეტი შეიტყოს მათ შესახებ შთამომავლობამ...

„მედეა“

„გადიოდა საუკუნეები, ათასწლეულები...

მისი სიტყვები ზღვამ შემოინახა, სხვამ არავინ შეისმინა ძახილი და სულის ტკივილი კოლხი ქალისა. მეც შავი ზღვის პატარა ნიჟარამ გამანდო მედეას სიტყვები...

„ოდესმე მაინც თუ სიყვარულის გრძნობამ დაგტანჯათ, უპირველესად თქვენს თავს მოჰკითხავთ პასუხს კითხვაზე: რატომ ვერ შევძელი გრძნობის მიჩქმალვა? სამყაროს სხვა გრძნობებიც ხომ ეყოფა? სულის ტკივილით რომ ვიწვი, ახლა ვნანობ, რომ შემიყვარდა...

მე მედეა ვარ, მწუხარე, სამშობლოში დაბრუნებული და მაინც უსამშობლო, მოღალატე, შვილებდაკარგული, ქმარდაკარგული მარტოსული ქალი, მაგრამ თუ მკითხავთ რაიმეს, გიპასუხებთ, რომ მაინც ისე მოვიქცეოდი, როგორც მაშინ... ისევ გიყვარსო - თუ მკითხავთ, გეტყვით, რომ ისევ, ისევ მახსოვს მისი სიტყვები, თუნდაც უმნიშვნელო...

მინდა ზეცაში მაინც მასთან ვიყო, იქნებ იქ არ დამივიწყოს, იქნებ ისევ შევუყვარდე და გამითბოს გული, რომელიც ყინულად მექცა.

მძულს საკუთარი თავი, მძულს, რომ ვერ შევძელი მასთან სიცოცხლის ბოლომდე ყოფნა. მძულს ის დღე, როცა შვილები დამიხოცეს. არ დაიჯეროთ, რომ ისინი მე გავიმეტე, არ დაიჯეროთ...

ერთი კოლხის გემით გადმოვცურე ზღვა, თვეების განმავლობაში ვიდექი და გავცქეროდი ზღვის უსაზღვრო სივრცეებს, მოვდიოდი მშიერ-მწყურვალი, მაგრამ ჩემს თავს პირობა მივეცი, რომ ჩემი შვილების ცხედრებს იქ არ დავტოვებდი, ისინი გემში დავმალე. ჩემს ბედად არც არავის უკითხავს ვინაობა, სახეს ვმალავდი...

გამოჩნდა სამშობლო, სული და გული მტკიოდა, ნაწილებად ვიშლებოდი. ნეტავ რა მინდოდა იმ ქვეყანაში, რომელიც ჩემი არც არასდროს ყოფილა, არც არასდროს მიყვარდა ისე, როგორც ჩემი კოლხეთი, ფაზისის ნაპირი და ზღვის ტალღები.



ახლა ვხვდებოდი, რას ნიშნავდა ჩემთვის ის ქვეყანა, სადაც გავიზარდე...

ნახევრადგახრწნილი, დანაწევრებული შვილები მივაბარე კოლხეთის მიწას, ჩემი ხელით ამოვთხარე საფლავი, ჩემი ხელით, იმიტომ რომ მარტო ვარ, მარტოსული...

იასონმა ვერც კი შეამჩნია, როგორ მომწყდა გულიდან, მაგრამ მე იასონით, მისით ვსულდგმულობდი, მჯეროდა მისი, სანამ ეჭვიანობის შხამით არ მოვიწამლე... მას თუ ჰგონია, რომ მარტო ვარ - ცდება. მის შვილს თვეები დავატარებდი მუცლად, და კიდევ ერთ შვილს, რომელიც ახლა ჩემი იმედია. არ ვიცი, როგორ გადაურჩა ჩემი პატარა ზღვის აზავთებულ ტალღებს, მაგრამ მე მაინც მოვაღწიე კოლხეთამდე პატარა გემით. არ ვიცი, ჩემი გულისტკივილი, შიმშილი ამ ბავშვზე როგორ არ მოქმედებდა, მაგრამ მე ის გუშინ დავბადე ლამაზი, მოუსვენარი, ციმციმათვალება. ის მეკვრის მკერდში, ტირის და მიცინის, ჩემში სიცოცხლის წყურვილს ბადებს, ახალ იმედებს მიღვიძებს, ის ჩემი სიყვარულის ნაყოფი და გადამრჩენელია.

მე მედეა ვარ, შვილებდაკარგული, სიყვარულდაკარგული, მაგრამ ცხოვრებას მაინც ვაგრძელებ, იმიტომ რომ პატარა ბიჭი თავისი შავი თვალებით მიყურებს და მალე დედას დამიძახებს, გულს გამიხარებს.

ცხოვრებას ვაგრძელებ, იმიტომ, რომ ჩემი სამშობლოს მიწას მივებარები ვიცი და აღარსად წავალ...

და მაინც, ვინ ვარ? რატომ დავბრუნდი? რატომ ვუღალატე მამას? განა ადვილია ეროსის ისრებს გადურჩე? განა ადვილია, სიყვარულს გაუმკლავდე?...“

ესაუბრა
ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ფრთხილად!

ქუჩაში ავი ძაღლია!...

13 თებერვალს დუშეთის მუნიციპალიტეტის ცენტრში სამი მიუსაფარი ძაღლი ერთდროულად რომ მოკვდა კრუნჩხვებით, ეს ამბავი უმალვე მთელმა საქართველომ გაიგო. ამ ამბავს წინ უძღოდა ერთ-ერთი ძაღლის მიერ მცირეწლოვანის დაკბენა და შემდეგ ამ ბავშვის დედის მუქარა ძაღლზე, რომელიც სოციალურ ქსელში გავრცელდა. აღნიშნულ ინციდენტზე შსს-მ მალევე გამოძიება დაიწყო, აქციები მოეწყო სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში ცხოველთა უფლებების დამცველთა მიერ, რომლებიც მოითხოვენ ბავშვის მშობლის და მისი წამხალისებლების დასჯას.

ყველასთვის ცხადია, რომ მიუსაფარი ძაღლების პრობლემა დღემდე გადაუჭრელია არამარტო დუშეთში, არამედ მთელ ქვეყანაში. იგი არის მნიშვნელოვანი გამოწვევა თითქმის ყველა მუნიციპალიტეტისთვის. სიტუაცია ჩიხშია მოქცეული. ერთ მხარეს ვართ ადამიანები, რომლებსაც ეს ცხოველები თავისუფალი გადაადგილების უფლებას გვიზღუდავენ, მეორე მხარეს არიან მიუსაფარი ცხოველები, რომელთა უფლებები უნდა იყოს დაცული. ბოლოს აღრიცხული მიუსაფარი ცხოველების რაოდენობა მხოლოდ ჩვენს დედაქალაქში, დაახლოებით, 42000-ს შეადგენდა. მათი ასეთი სწრაფი გამრავლების მიზეზად კი ცხოველთა უფლებადამცველები კასტრაცია-სტერილიზაციის არ არსებობას და პატრონის მიერ ქუჩაში გაგდებას ასახელებენ. ისინი ამ პრობლემის შემსუბუქების წყაროს ახალი კანონპროექტის დაჩქარებულად მიღებაში ხედავენ. „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ კანონპროექტით, აიკრძალება მეტისების გამრავლება, ხოლო ჯიშიანი ძაღლების გასამრავლებლად პატრონს სპეციალური ნებართვის აღება მოუწევს. ახალი კანონის მიღების შემთხვევაში რეგიონებს დაევალებათ შექმნან სტრუქტურები, სადაც მიუსაფარი ცხოველების კასტრაცია და სტერილიზაცია ჩატარდება. მხოლოდ ამის შემდეგ, რამდენიმე წელიწადში თითქმის აღარ იქნებიან ქუჩის უპატრონო ცხოველები. ამ მეთოდით მოგვარდა ეს პრობლემები ევროპაში, ხოლო ჩვენს ქვეყანაში, რა ხანია, წარსულს ჩაბარდა მეთოდები, რომლის „წყალობითაც“ მილიონები იხარჯებოდა უპატრონო ძაღლების სასტიკად დახოცვაში. დღეს არსებული კანონის მიხედვით, ცხოველის წამება ან მისდამი სასტიკი მოპყრობა, რამაც მისი დაღუპვა ან დასახიჩრება გამოიწვია, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ისჯება 120-დან 240 საათამდე ვადით ან 6 თვიდან 1 წლამდე შინაპატიმრობით, ჯარიმით ან თავისუფლების 1 წლით აღკვეთით.

ჩვენს ქვეყანაში ცხოველთა მოყვარული უამრავი ადამიანი ცხოვრობს. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რათა მიუსაფარ ცხოველებს პირობები შეუმსუბუქონ - ეს იქნება შეკედლების და ქუჩის ნაკადიდან გამოცალკევების მეთოდები, ზრუნვა მათზე თუ სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქალაქში მიუსაფარი ძაღლების 80%-ზე მეტი ყურზე საჭდით გადაადგილდება, ქუჩაში სიარული მაინც არაა დღემდე უსაფრთხო. ამ დღეებში რამდენიმე საჩივარი შემოვიდა რედაქციაში მშობლების მიერ, მათი შვილების უსაფრთხო გადაადგილების შეზღუდვის საკითხზე. საქმე ეხება სამუსიკო სკოლისა და „ბეკოს“ მიმდებარე ტერიტორიას, სადაც რამდენიმე აგრესიული, მათ შორის ლეკვებიანი ძაღლები გამვლელებს საფრთხეს უქმნიან. ასევე მოგვწერეს გომელაურის ქუჩიდან, მესამე საბავშვო ბაღის მიმდებარედ მცხოვრებლებმა. მათ ნაამბობს გაზვიადებულად მივიჩნევდი, სანამ ამბავი პირადად არ გადამხდა თავს. ორი დღის წინ, სამსახურში მიმავალმა, როგორც კი ძველი პოლიციის შენობას მივუახლოვდი, შორიდანვე შევნიშნე ის „ცნობილი“ ლეკვებიანი დედა და გზის მეორე მხარეს გადავედი. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან შორს ვიყავი მისი შვილებისგან, აგრესიულად, ყეფა-ღრენით გამოიქცა ჩემსკენ, ისე რომ, ჩანთის მოქნევა ძლივს მოვასწარი. გააჩერეს მანქანებმა, ზოგი გადმოხტა, ხმოვანი სიგნალი ჩაურთეს და როგორღაც შეაკავეს ეს აგრესიული ცხოველი. ჩემს ადგილზე პატარა ბავშვი რომ ყოფილიყო, არ ვიცი, რა მოხდებოდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით მივმართე გურჯაანის მიუსაფარ ცხოველთა მონიტორინგის სამსახურს, სადაც დაგვპირდნენ, რომ მითითებულ ძაღლს აუცილებლად წაიყვანენ და სტერილიზაციაცრას ჩაუტარებენ, ოღონდ ლეკვების ბუნებრივი კვების დასრულების შემდგომ, დაახლოებით ერთ თვეში. **მანამდე ისღა დაგვრჩენია, მივმართოთ ჩვენს მოქალაქეებს, მოსწავლეებს, მოხუცებს, რომლებიც აღნიშნულ ტერიტორიაზე აქტიურად გადაადგილდებიან, გამოიჩინონ განსაკუთრებული სიფრთხილე, რადგან ჩვენს ქალაქში ფეხით მოსიარულეთა გადაადგილება ჯერ კიდევ საფრთხის შემცველია!**

ელზა ხარაშვილი

ქვემო ქედის ლითონგადამამუშავებელი სახელოსნო

გააცოცხლე ისტორია ექსპონატით

კავკასია ძველთაგანვე მსოფლიოს მეტალურგიულ ცენტრად იყო აღიარებული. ლითონის დამუშავება და მათი სხვადასხვა მინარევებით გამდიდრება აქ 2500 წლის წინ დაიწყო. მეტალურგმა ტომებმა - ხალიბებმა რკინის დამუშავება შეძლეს და სამყარო ახალ რეჟიმში-რკინის ეპოქაში გადაიყვანეს.

ვინ იყვნენ ხალიბები, როდის ან სად ცხოვრობდა ფოლადის შემქმნელი ხალხი? ყველა ბერძნული წყარო ხალიბებზე საუბრის დროს მათ მოიხსენიებს დასავლურ ქართველ ტომებთან ერთად.

ხალიბებმა ფოლადის მიღების საიდუმლო ამოიცნეს და პრაქტიკაში დანერგეს (ამ დროს რკინა უფრო ძვირი ლითონი იყო, ვიდრე ოქრო). მადნის ლითონად გადაქცევა რთული პროცესია და სიბრძნეს მოითხოვს. ხალიბებს შეეძლოთ გამოეცნოთ სად იყო მადნის ძარღვი, რკინის დამუშავების წესს კი საიდუმლოდ ინახავდნენ. ცივილიზებულმა მსოფლიომ ნამდვილად დაუფასა ღვაწლი ხალიბებს და მათ ძველ დროშივე დაარქვეს რკინას „ხალიუფს“.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გვიანი ბრინჯაოს ხანის სულ ორი ლითონსამსხმელო სახელოსნოა აღმოჩენილი - სოფ. წაღვერთან და სოფ. ქვემო ქედში.

1963 წელს სოფ. ქვემო ქედის სკოლის ახალი კორპუსისათვის საძირკვლის ამოღებისას მოსახლეობის ყურადღება მიიქცია თიხის დიდ ჭურჭელში ჩაწყობილმა ბრინჯაოს ორმოცმა მახვილმა. აღმოჩენის შესახებ ეცნობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს, რომელმაც ადგილზე გაგზავნა ექსპედიცია ძეგლის შესასწავლად. (ხელმძღვანელი: აკადემიკოსი კონსტანტინე ფიცხელაური) გაითხარა 1100მ^2 ფართობი, სადაც აღმოჩნდა ლითონგადამამუშავებელი სახელოსნო.



სახელოსნო გამართული იყო 0,7მ სიღრმის კულტურული ფენის ქვეშ. მის ქვეშ კი ყოფილა სათავსოები. თითოეული მათგანი გეგმით მომრგვალებულია და განსხვავდება ზომებით. ორმოები და სათავსოები ხმარების შემდეგ ძველადვე ჩანდა მიტოვებული და მაშინვე შევსებული წარმოების გადანაყარი ნაშთებით, ნაცრით და ნახშირით. როგორც ჩანს, ქურა სწრაფად გამოდიოდა ხმარებიდან და ახალს აკეთებდნენ. ამის გამო კარგად იყო დაცული თიხაში ამოჭრილი კარი, საფეხური და თახჩა.

სახელოსნო შედგებოდა ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე ნაგებობისგან, ყველა დამხმარე სათავსო უკავშირდებოდა ცენტრალურს, სადაც მოთავსებული იყო ქურა. ქურის კედლები და ფსკერი შელესილი ყოფილა თიხით. ქურის აღმოსავლეთი ნაწილი კი საცეცხლფარეშო განყოფილებას წარმოადგენდა.

სახელოსნოში მიმდინარეობდა რამდენიმე ტექნოლოგიური პროცესი, კერძოდ მადნიდან ლითონის მიღება და ლითონის იარაღის ჩამოსხმა-დამზადება. ქურა-სახელოსნოები მუშაობდა როგორც რკინის მადანზე, რომლის მიღებაც მაგნეტიტური ქვიშებიდან ხდებოდა (ძველად შირაქის ველი წყალუხვი ყოფილა), ასევე ტექნიკურად გამდიდრებული მადნის სახით, რომელიც შემოჰქონდათ დიდი კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებიდან. ხელოსნები ქვიშას მინარევებისაგან ხელით რეცხავდნენ, გარეცხილ ნედლეულს კი ქურა-სახელოსნოებში ეზიდებოდნენ.

იმისთვის, რომ მეტალურგიული პროცესი სრულყოფილად წარმართულიყო, ქურის გვერდით ყოველთვის იყო გადახურული ნაგებობა, სადაც მიმდინარეობდა ნახშირის გამოწვა ძალიან მაღალ ტემპერატურაზე.მიწის სიწითლე იყო იმის მიმანიშნებელი, რომ მაღალმა ტემპერატურამ თავად მიწა დაწვა.

რაც შეეხება ნედლეულ ბაზას, წარმოება მარაგდებოდა ადგილობრივი ხე-ტყით, წყლით და თიხით. მართალია, ამჟამად სოფ.ქვემო ქედის ტერიტორიას აკლია წყალიც და ხე-ტყეც, მაგრამ ძვ.წ. პირველი ათასწლეულის დასაწყისში შირაქის ველი საკმაოდ წყალუხვი ყოფილა, ეს კარგად ჩანს აერო გადაღების სურათებიდან, სადაც გამოკვეთილია ორი მდინარის კალაპოტი.

საგანგებოდ ჩატარებული გეოლოგიური სამუშაოების შედეგად დადგინდა, რომ ივრის ზეგანზე არსებობდა თიხის მომპოვებელი არაერთი ღია კარიერი. აქვე დგება საკითხი, თუ როგორი იყო მადნის ტრანსპორტირების პროცესი.

ქვემო ქედში გათხრილ სახელოსნოში დადასტურდა ცხენის თავ-ფეხის შეწირვა ნაქურალ ორმოში. თიხის უამრავი მცირე ზომის ბორბალი, ცხენის ძვლები, შეკაზმული ცხენის ქანდაკების ფრაგმენტი, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ სახელოსნოში მადანი მიჰქონდათ ორთვალა საზიდრებით, რომლებშიც ცხენები იყო შებმული.

სახელსნო დიდი რაოდენობით წყალს მოიხმარდა. ეს ნათლად ჩანს ნაქურალი ორმოების მახლობლად დიდი რაოდენობით აღმოჩენილი ქვევრებით, რომლებიც წყლისათვის გამოიყენებოდა.

ქვემო ქედში აღმოჩენილი ლითონის ნივთების უმეტესობა კალიანი ბრინჯაოსგანაა დამზადებული (ბრინჯაო არის სპილენძის შენადნობი სხვადასხვა ლითონიდან კერძოდ: კალასთან (კალიანი ბრინჯაო) ალუმინთან (ალუმინიანი ბრინჯაო) თუთიასთან (თუთიიანი ბრინჯაო) უძველესია კალიანი ბრინჯაო.

ლითონგადამამუშავებელ სახელოსნოში მრავლად აღმოჩნდა ლითონის წარმოებასთან დაკავშირებული მასალა - რკინის წიდა (წიდა-მადნიდან ლითონის გამოდნობის შედეგად მიღებული ნარჩენი, რომელიც გამყარების შემდეგ ქვასავით ხდება,) ტიგელები (ტიგელი-ცეცხლგამძლე ჭურჭელი, სადაც ხდებოდა ლითონის გამოდნობა), ქვის და თიხის ყალიბები, სახეხები, საფხეკები, საქშენი მილები, თიხის დაჩხვლეტილი საწურები, ძვლის კოვზი, რომელიც შესაძლებელია საწყაოს წარმოადგენდა, მუფელები (მუფელი-ნახევარსფერო, რომელიც იცავს ტიგელს უცხო სხეულის მოხვედრისაგან). ყველა წარმოდგენილი ნივთი ინახებოდა თახჩებში. სახელოსნოს ერთ-ერთ ორმოში სხვადასხვა კერამიკულ ნაწარმთან ერთად აღმოჩნდა ორად გატეხილი წმინდა თიხისგან დამზადებული და წითელი წერნაქით შეღებილი ბურცობებიანი ფიალა. ამგვარი ფიალის მსგავსი ჭურჭელი ბევრია აქამენიდურ სამყაროში.ივრის ზეგანზე ძვ.წ.აღ. მეორე და პირველი ათასწლეულების მიჯნაზე ცივილიზაციის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ძირითადი ეკონომიკური საფუძველი მეტალურგიული წარმოება უნდა ყოფილიყო და საზოგადოება, რომელსაც ათვისებული ჰქონდა ლითონის წარმოება ამ ადრეულ პერიოდში სოციალურად დაწინაურებული იქნებოდა.

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მრავლად მოიპოვება მეტალურგიასთან დაკავშირებული მასალები. გვეწვიეთ მუზეუმში, სადაც დაგხვდებათ სასიამოვნო გარემო და გაეცნობით ჩვენი მხარის ისტორიას.

დალი გაღაშვილი,
დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი

ლუკა ბენიაიძის ბრინჯაო ძიუდოში

12 თებერვალს თბილისში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა ძიუდოში. შეჯიბრი სხვადასხვა ჯგუფებს შორის ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. 2006-2007 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის მესამე ადგილზე გავიდა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა **არხილოსკალოელმა ლუკა ბენიაიძემ,** რომელიც +90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა.

ლუკა ბენიაიძემ რამდენიმე თვის წინ სლოვენიაში, ჭაბუკებს შორის ევროპის თასზე მონაწილეობისას ვერცხლის მედალი, ხოლო, უნგრეთში ასევე ევროპის თასზე ისევ მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

7 ოქრო უშუ-სანდაში

10-12 თებერვალს გაიმართა თბილისის ღია პირველობა უშუ სანდაში, სადაც წარმატებით იასპარეზა დედოფლისწყაროს გუნდმა. როგორც გაზეთ „შირაქს“ მწვრთნელმა **გიორგი ცისკარაულმა** აცნობა, 7 პირველი ადგილი, სამი ვერცხლის და ერთიც ბრინჯაოს მედალი დედოფლისწყაროს უშუს გუნდის ანგარიშზეა.

ოქრო – ლუკა ლიქოკელი; ნიკოლოზ არაბული; დაჩი ზოროღლიანი; ნიკოლოზ ხარაზიშვილი; დავით ბუაძე; საბა ბუთხუზი; გივი გოჩიტაშვილი

მეორე ადგილი – ვერცხლი

ირაკლი ყოჩიაშვილი; გიორგი თარაშვილი; ნუგზარ ჭრელაშვილი

იოანე ოგანესიანი - ***ბრინჯაო***

გაზეთი „შირაქი“ გუნდის მწვრთნელსა და გამარჯვებულ სპორტსმენებს გაესაუბრა:

გიორგი ცისკარაული ***(მწვრთნელი):*** „ზოგადად, ჩემპიონობა ძალიან კარგია, გამარჯვებულსაც არ ასამართლებენო ამბობენ ხოლმე, მაგრამ ეს ჩვენს გუნდზე არ ვრცელდება. შეიძლება ჩემპიონი გახდე, მაგრამ თუ დამაჯერებლად არ მოიგე, ან ლამაზი ბრძოლა არ აჩვენე, ჩვენთან კრიტიკას ნამდვილად დაიმსახურებ. მინდა გამოვარჩიო რამდენიმე ჩემპიონი, რომლებმაც საუკეთესოდ იასპარეზეს. პატარა ლუკა ლიქოკელი უკვე მე-7 შეჯიბრზე იყო და აქედან 6-ჯერ ჩემპიონი გახდა. მუდმივად ბოლომდე იბრძვის და მისი ბრძოლა ყოველთვის დაძაბული და საინტერესოა. გივი გოჩიტაშვილი რომელიც უკვე დიდებში გამოდის, ერთ-ერთი გამორჩეული სპორტსმენია ჩვენს გუნდში. მანაც დამაჯერებლად იმარჯვა საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში. უკვე 7 გზის საქართველოს ჩემპიონმა ნიკოლოზ ხარაზიშვილმა თავისი მაღალი მომზადება აჩვენა და საუკეთესო მებრძოლები დაამარცხა. არ შეიძლება გამოგვრჩეს დავით ბუაძე, რომელიც ხელის ტექნიკაში საუკეთესოა და უმარტივესად მოიგო ბრძოლები. რაც შეეხება მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონს, საბა ბუთხუზზე აღარაფერს ვიტყვი. მისი გამოსვლა დიდ ყურადღებას და ინტერესს იწვევდა, რადგან ქართველი მსოფლიო ჩემპიონის ბრძოლა იყო და საზოგადოების ინტერესიც მაღალი იყო“.

გივი გოჩიტაშვილი: „უშუს გუნდში ვარჯიში აქტიურად დავიწყე 2017 წლიდან და ფაქტიურად, ამავე წლის ბოლოს შევძელი მომეპოვებინა საქართველოს ჩემპიონის ტიტული. პატარაობიდანვე ყოველთვის ვადევნებდი თვალს წარმატებულ ქართველ სპორტსმენებს, რომლებიც იბრძოდნენ საქართველოს სახელით და გამიჩნდა ამბიცია, მომავალში მეც ვყოფილიყავი მათ ადგილას. მინდა ვასახელო და წარმოვაჩინო ჩვენი სამშობლო. რაც შეეხება კონკრეტულად უშუს სახეობისადმი ჩემს დაინტერესებას, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს მწვრთნელს გიორგი ცისკარაულს, რომელმაც თავდაპირველად მომცა რჩევა, რომ დამეწყო ვარჯიში ამ სახეობაში“.

ილია მარტყოფლიშვილი

კოტე მარჯანიშვილი-150



კოტე მარჯანიშვილის 150 წლის იუბილეს მიეძღვნა მუსიკალური პრემიერა სიჩუმიდან მუსიკამდე კინოფილმებისათვის: „ამოკი“ „კრაზანა“ და „სამანიშვილის დედინაცვალი“.

პროექტის ავტორი გახლდათ კომპოზიტორი ნუკა ნიკვაშვილი, მუსიკალურ პრემიერაში მონაწილეობდა სოპრანო იანო ალიბეგაშვილი და თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი.

პრემიერა გაიმართა რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში.

მე-20 საუკუნის 20-იან წლების ქართულ კინოს, რომლის სათავეშიც დიდი ქართველი რეფორმატორები იდგნენ, დიდი ხანია მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილად აღიარებენ. კოტე მარჯანიშვილი და მისი ფილმები კი რეფორმატორული ხედვის ისტორიული მაგალითია.

2018-2019 წლებში საქართველოს ეროვნულმა კინოტენდერმა ფილმსაცავიდან „გოსფილმფონდი“ ჩამოიტანა კოტე მარჯანიშვილის ფილმების საწყისი მასალები, რომლებიც 2019-2022 წლებში საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერისა და საქართველოს ეროვნულ არქივთან თანამშრომლობით აღადგინა. გაცოცხლდა და ახალი სიცოცხლე შეიძინა კოტე მარჯანიშვილის ხუთმა ფილმმა: „სამანიშვილის დედინაცვალი“ (1927) „ამოკი“ (1927)მ „გოგი რატიანი“ (1927) „კრაზანა“ (1928) და „კომუნარის ჩიბუხი“ (1928)

კოტე მარჯანიშვილის აღდგენილი ფილმებისთვის „სამანიშვილის დედინაცვალი“ „ამოკი“ და „კრაზანა“ სპეციალურად შეიქმნა მუსიკა კომპოზიტორის, დირიჟორის, თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი მუსიკოსის, წლის საუკეთესო ადამიანის, ნიკა ნიკვაშვილის მიერ, რომლის პრემიერაც რუსთაველის თეატრის სცენაზე 11 დეკემბერს შედგა.

ეკრანზე ნაჩვენები იყო სამი უხმო ფილმი „ამოკი“, „კრაზანა“ და „სამანიშვილის დედინაცვალი“, რომელსაც ფონად გასდევდა ცოცხალი მუსიკა თბილისის ოპერის და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრის შესრულებით, პროექტის ავტორის ნიკა ნიკვაშვილის დირიჟორობით..

მინი დოსიე:

ნიკა ნიკვაშვილი დაიბადა თბილისში 1986 წლის 19 ნოემბერს, დაამთავრა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, საკომპოზიტორო ფაკულტეტი (პროფესორ ბიძინა კვერნაძის კლასი). 2010-2015 წლებში ცხოვრობდა და მუშაობდა მოსკოვში, სადაც განახორციელა არაერთი მნიშვნელოვანი საავტორო მუსიკალური პროექტი.

2015 წლიდან გადავიდა პარიზში, სადაც დაამთავრა პარიზის კონსერვატორიის საკომპოზიტორო ფაკულტეტი პროფესორ მიშელ მერლეს კლასი. 2017 წელს კი დაამთავრა გაორკესტრების კლასი (პროფესორ ანტონი ჟირარდის ჯგუფი).

2021 წელს, იგივე განხრით, დაასრულა სწავლა პარიზის სახელმწიფო კონსერვატორიაში. ამჟამად მოღვაწეობს პარიზში, არის ახალგაზრდა კომპოზიტორთა ასოციაციის წევრი და განაგრძობს მუშაობას სპეიალობით.

2021 წელს დააფუძნა სიღნაღის ფესტივალი და კომპოზიტორთა კონკურსი, რომელიც თავისი პედაგოგის ბიძინა კვერნაძის სახელს ატარებს (სიღნაღის ფესტივალის დირექტორი).

ნიკა ნიკვაშვილი მრავალი მუსიკალური ნაწარმოების ავტორია მათ შორის: „საფოს“, რომელიც თავისი პედაგოგის ბიძინა კვერნაძის სახელს ატარებს (სიღნაღის ფესტივალის დირექტორი).

ნიკა ნიკვაშვილი მრავალი მუსიკალური ნაწარმოების ავტორია მათ შორის: საფორტეპიანო, საგუნდო, კამერული და სიმფონიური მუსიკა. იგი გახლავთ კონცერტების სამხატვრო ხელმძღვანელი საქართველოსა და ევროპაში.

ნანა ჭიჭინაძე

მონატრება

ლევან დავითაშვილი

უშენოდ მოვიდა 20 თებერვალი, სევდიანი და ტკივილიანი. ერთ დროს ყველაზე ბედნიერი დღე, ახლა მწუხარებით სავსეა. რომ არა 2016 წლის 27 სექტემბერი, დღეს დიდი ზეიმი იქნებოდა ჩვენს ოჯახში. 41 წლის შესრულებას გილოცავ შვილო, იმ ქვეყნად. ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა შენი სიცოცხლე, 2016 წლის 24 სექტემბერს შენი დეიდაშვილის ეთუნას ქორწილში ვიყავით გახარებულები, რა ვიცოდით რა მოგველოდა ორი დღის მერე. ულმობელია წუთისოფელი, სწორედ მაშინ გიმტყუნა ბედმა, როცა ყველაზე მეტად გინდოდა სიცოცხლე. დაგრჩა ბევრი აუხდენელი ოცნება. შენთვის ხომ ცხოვრება ერთი ლამაზი წამი აღმოჩნდა, წამი, რომელმაც ერთმანეთს დაგვაშორა და გულში სამუდამო ტკივილი დაგვიტოვა. შენ ხომ ჯერ ახალგაზრდა იყავი, როგორ შევეგუოთ შენს არ ყოფნას. ენატრები შენს ძმებს, შენს ლევანიკოს, რომელმაც დაკარგა საყვარელი ბიძა. შენი ლევანიკო 17 თებერვალს 13 წლის გახდა, იამაყებდი მისით. ილოცე შენი ახლობლებისთვის იმ ქვეყნიდან.

ჩემო ლევან, სამუდამოდ გაქრა ჩვენი ოჯახის სიხარული და ბედნიერება. უშენობამ სევდა დაგვიტოვა, ყველაფერი გაუფერულდა, ვერ შევეგუეთ იმ ტკივილსა და მწუხარებას, რასაც შენი სახელი ჰქვია.

ლევან, 20 თებერვალს მოვალთ შენს სამუდამო სასუფეველთან დაბადების დღის მოსალოცად, ოღონდ ლილი ბებოს გარეშე, მან ხომ შენთან ყოფნა არჩია.

გილოცავთ და ვაი, რომ ცრემლებია მხოლოდ ჩვენი საჩუქარი, ცრემლები, რომელიც შენს გულზე დაყრილ მიწას ასველებს. გვენატრები ჩვენო ტკივილო, შენი სანთელი მუდამ ანთია შენს ოჯახში.

მშვიდად იძინე იქ, სადაც არც ჭირია და არც მწუხარება. გფარავდეს ნათელი უფლისა და შუქი კელაპტრისა. შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. მარადიული სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა ზეციურ ბინადარს. კურთხეულ იყოს ეს მონატრება და საუკუნოდ იყოს ხსენება შენი.

შენი ოჯახი

ნანი მარტყოფლიშვილი

უკვე 5 წელი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ და ზეციურ სამყაროში, სამუდამო განსასვენებელში გადაინაცვლე. ძალიან გვიჭირს უშენობა, გაუსაძლისია მონატრება, რაც შენი დაკარგვის შემდეგ დაგვიტოვე. დრო მკურნალიაო – ამბობენ, მაგრამ წლები ვერ ანელებს ამ ტკივილს. ძალიან გვაკლია შენი სითბო.

18 თებერვალს 83 წელი შეგისრულდა, სწორედ დაბადების დღეზე დაგვტოვე და მარადისობაში გადაინაცვლე.

შენი საყვარელი შვილიშვილი შოთიკო უკვე მეორე შვილს ელოდება, ნეტა მოსწრებოდი და საკუთარი თვალით გენახა მისი ბედნიერება.

მშვიდად იძინე და იქიდან ილოცე შენი შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილებისთვის. ნათელში იყოს შენი სული.

მეუღლე, შვილები, შვილიშვილები
და შვილთაშვილები.

საბავშვო კროსვორდი

ექსკურსია საბათლოში

სოფელ ფიროსმანის სკოლის მოსწავლეები მეზობელ სოფელ საბათლოში ახლადგახსნილ იდეათეკას ეწვივნენ და წიგნის საჯაროდ კითხვის დღე აღნიშნეს. მოამზადეს და წაიკითხეს მათთვის საყვარელი მწერლების ლექსები და პუბლიცისტური წერილები. ღონისძიებაში აქტიურად ჩაერთვნენ მასპინძელი საბათლოს სკოლის მოსწავლეებიც. ორივე სკოლამ საინტერესო პროგრამა წარმოადგინა, შემდეგ კი ყველა მონაწილე სიგელით დაჯილდოვდა. გამოვლინდა ყველაზე აქტიური, საბათლოს საჯარო სკოლის წარმატებული მოსწავლე **ვართი დანელიანი**.

როგორც ფიროსმანის საჯარო სკოლის მეექვსე კლასის დამრიგებელმა ლელა ტარიელაძემ გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, იდეის განხორციელება ძალიან საინტერესო აღმოჩნდა მათთვის.

„მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯი გაიღო ფიროსმანის სკოლის ბიბლიოთეკარმა ლევან ჯაიანმა, ამიტომ მოსწავლეები დიდ მადლობას უხდიან მას. ბიბლიოთეკარის ინიციატივით ასევე მოინახულეს მდინარე ალაზანზე, დაცული ტერიტორიების ნუსხაში შესული კაკლის ყურე, რომელიც საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საზღვარს ქმნის. ბავშვებისთვის ძალიან შთამბეჭდავი, საინტერესო სანახაობა იყო, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია. მადლობა საბათლოს სკოლას და ბიბლიოთეკას, გულთბილი დახვედრისა და ღონისძიებაში ჩართულობისთვის. ასევე მადლობა მოსწავლეთა მშობლებს მხარდაჭერისთვის,“ – ამბობს პედაგოგი.

საბათლოში თანამედროვე ტიპის ბიბლიოთეკა რამდენიმე თვის წინ გაიხსნა და მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ, რაიონულ ცენტრს მონყვეტილ საზღვრისპირა სოფლებში ამგვარი კერების შექმნას და ადგილობრივთა გააქტიურებას.

ილია მარტყოფლიშვილი

მოჭადრაკეები რეგიონულ ტურნირზე

11-12 თებერვალს ქ. თელავში ჭადრაკში კახეთის რეგიონალური ტურნირი ჩატარდა (12 და 14 წლამდე ასაკში). როგორც გაზეთ „შირაქს“ ჭადრაკის კლუბის მწვრთნელმა გიორგი კიკილაშვილმა აცნობა, დედოფლისწყაროელი მოჭადრაკეები რეგიონის მასშტაბით წარმატებით გამოვიდნენ. დედოფლისწყაროდან აღნიშნულ შეჯიბრში მონაწილეობდნენ: 12 წლამდე ასაკის ვაჟთა ტურნირში - 9 წლის მოჭადრაკე **მათე მარტყოფლიშვილი** *და 14 წლამდე ასაკის ვაჟთა ტურნირში - 13 წლის* **ოთარ ელოშვილი.**

შეჯიბრი ჩატარდა ფიდეს სტანდარტების შესაბამისად, შვეიცარული სისტემით, 7 ტურად. 9 წლის მათე მარტყოფლიშვილმა მასზე უფროს მოჭადრაკეებთან, 12 წლიანებში, ღირსეული მეტოქეობა გასწია. მან 7 ტურიდან 4 მატჩი მოიგო და მხოლოდ საქართველოს ჩემპიონებთან (დათა ყალაბეგაშვილი -12 წლის, გიორგი თავბერიძე-12 წლის, ანდრია არუთინოვი - 11 წლის) დათმო შეხვედრა.

გიორგი კიკილაშვილი *(მწვრთნელი):* უნდა აღინიშნოს, რომ მათე მარტყოფლიშვილმა ტურნირის მსაჯთა დიდი მოწონება დაიმსახურა თავისი შეუპოვარი და გამორჩეულად ლამაზი თამაშით. ენჩბილში (საჭადრაკო მატჩის დაბოლოვება) საქართველოს ჩემპიონებთან უარყოფითი შედეგის მიზეზი, ნაკლები გამოცდილება იყო, თორემ დებიუტში (დასაწყისი) და მიტელშპილში (შუა თამაში) მათ მათემ ტოლი არ დაუდო.

საინტერესოდ წარიმართა 14 წლამდე ასაკის ვაჟთა ტურნირი. აქ ჩვენმა მოჭადრაკემ ოთარ ელოშვილმა 7-დან 5,5 ქულა მოაგროვა და ტურნირის ვერცხლის პრიზიორი გახდა. ეს მოზარდი გამოირჩევა თავისი შრომისმოყვარეობით. თუ ასე ნაყოფიერად გააგრძელებს ჭადრაკში ვარჯიშს, იგი აუცილებლად სერიოზულ წარმატებებს მიაღწევს.

დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ ტურნირს ამშვენებდა დიდოსტატის, ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონის – ქალბატონ ნანა იოსელიანის ღონისძიებაზე დასწრება. იგი ჭადრაკის მოყვარულთა დიდი ქომაგია და იმედია, სულ მალე ჩვენს მუნიციპალიტეტსაც ეწვევა ამ „ბრძენთა თამაშის“ პოპულარიზაციის მიზნით,“ – ამბობს გიორგი კიკილაშვილი.

რამდენიმე დღით ადრე დედოფლისწყაროელი მოჭადრაკეები გურჯაანშიც იმყოფებოდნენ.

მათე მარტყოფლიშვილი: „ზემო მაჩხაანში, ბებიასთან რომ მივდიოდი იქ ბავშვებთან თამაშის დროს შაში მასწავლეს. ძალიან დამაინტერესა, ბავშვებთან ხშირად ვთამაშობდი შაშს და ძირითადად ვიმარჯვებდი ხოლმე. ეს იყო ჩემი პირველი შეხება სამაგიდო თამაშებთან. მშობლებს ვთხოვდი, რომ ჭადრაკიც ესწავლებინათ. მერე დედამ გაიგო, რომ დედოფლისწყაროში ჭადრაკის კლუბი არსებობდა და მიმიყვანა. ორი წელი ხდება, რაც დავდივარ და უფრო დიდი ინტერესი გამიჩნდა. ხშრად გვაქვს გასვლითი ტურნირებიც. მინდა უფრო განვვითარდე და დიდ წარმატებებს მივაღწიო.“

კონკურსი — „ავიმაღლოთ ინტელექტი“

ექსტრაკულიკულური აქტივობების ფარგლებში, 16 თებერვალს, კოლეჯ „აისის“ დედოფლისწყაროს ფილიალში ინტელექტუალური კონკურსის – „ავიმაღლოთ ინტელექტის“ პირველი, შესარჩევი ტური ჩატარდა. მონაწილეობა მიიღეს კოლეჯ „აისის“ დედოფლისწყაროს ფილიალის სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებმა. გამოვლინდა ოთხი გამარჯვებული:

პირველი ადგილი წილად ხვდა ბუღალტრული აღიცხვის სპეციალობის სტუდენტს ანა იაკობიშვილს. მეორე ადგილზე გავიდა თმისა და სილამაზის მომსახურების სპეციალობის სტუდენტი ნატალი სმოევი. მესამე ადგილი გაინაწილეს ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალობის სტუდენტმა ზაზა შანყულაშვილმა და თექის დამზადების სპეციალობის სტუდენტმა სოფიო ბიბილურმა. გამარჯვებულ სტუდენტებს გადაეცათ სიგელები. მას შემდეგ, რაც შესარჩევი ტურები განხორციელდება კაჭრეთში, ლაგოდეხის და ალვანის ფილიალებში, გამარჯვებული კონკურსანტები მონაწილეობას მიიღებენ ფინალურ ტურში, რომელიც ჩატარდება აპრილში. გამარჯვებულებს გადაეცემათ სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 20.02		სამშაბათი 21.02		ოთხშაბათი 22.02		ხუთშაბათი 23.02		პარასკევი 24.02		შაბათი 25.02		კვირა 26.02	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	11°	0 °	11°	–1°	9 °	–2 °	8°	–3°	7°	-3 °	7°	-3 °	10 °	-1 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი